# სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 9 აგვისტო 2007 №182 (3105)

ფასი 50 თეთრი




**მუჯირი ისე დაშავდა, რომ ვერაფერი გაიგო**

ობორინემ ქართველი თავიდან აირიდა

2



**ალბათ საქართველოდან წავალ**

ინტერვიუ კახა ცხადაძესთან

4

**ტორპედო უცნაურად გადარჩა**

ქუთაისელები პირველ ლიგაში ითამაშებენ

4

# სირცხვილი!

## სანტოსი ზესტაფონიდან გაიქცა



არაკაცობა...

ყაზახურ „ტობოლთან" ინტერტოტოს თასზე დამარცხების შემდეგ „ზესტაფონმა" საქართველოს ჩემპიონატისთვის მზადება განაგრძო, თუმცა ცოტა ხანში ბრაზილიელი მცველი ედსონ ოლივეირა დოს სანტოსი გუნდიდან გაქრა. „ზესტაფონი" დღემდე არ აკეთებს ოფიციალურ კომენტარს ამის თაობაზე. ერთადერთი, რაც მათგან შევიტყვეთ, არის ის, რომ სანტოსი ბრაზილიაში დაბრუნდა პირადი პრობლემების გამო.

„პირადი პრობლემები" პირად პრობლემებად დარჩებოდა, მაგრამ საქართველოში, აბა, რა დაიმალება... საქმე ისაა, რომ სანტოსის „პირადი პრობლემა" აღარ არის მხოლოდ მისი პრობლემა, ეს უკვე საქართველოს პრობლემაა...

„ზესტაფონის" ბრაზილიელ ლეგიონერს ზესტაფონში ცოლი გაუუპატიურეს! ვინ, სად, როდის — ეს უკვე შესაბამისი ორგანოების საქმეა, მით უმეტეს, გუშინ იმერეთის სამხარეო პოლიციის პრესცენტრში გვითხრეს, რომ სისხლის სამართლის საქმე აღძრულია და გამოძიება დაწყებულია...

# მუჯირი ისე დაშავდა, რომ ვერაფერი გაიგო

## ობორინმა ქართველი თავიდან აირიდა



სამარის „კრილია სოვეტოვის“ ქართველ ნახევარმცველ დავით მუჯირისა და მთავარ მწვრთნელ სერგეი ობორინს გართულებული ურთიერთობა რომ აქვთ, გეცოდინებათ.

მწვრთნელთან უზრობის გამო მუჯირმა ცოტა ხნის წინ გუნდის კაპიტნობაზეც კი თქვა უარი და, როგორც ამბობენ, საერთოდ წასვლას აპირებს „კრილიადან“.

ამ ყველაფრის თაობაზე რუსმა ჟურნალისტებმა ობორინს სთხოვეს განმარტება, თუმცა მწვრთნელმა მუჯირთან ურთიერთობაზე ლაპარაკს თავი აარიდა და მის ტრავმაზე გაამახვილა ყურადღება.

სერგეი ობორინი: „მუჯირი გაცივებული იყო და ამიტომაც ვერ ითამაშა „როსტოვთან“. ახლა კი ამას ტრავმაც დაემატა — დავითს ფეხის უკანა კუნთი აწუხებს. როგორც გაირკვა, მან თავადაც არ იცის, როდის მიიღო ეს ტრავმა და ახლა უკვე საკითხავია, მოასწრებს თუ არა ის „სპარტაკთან“ მომავალი ტური მატჩამდე გამოჯანმრთელებას“.

**ქახა შალამბერიძე**

# დნიპრომ და კანკავამ უკრაინა გააკვირვეს



დიოგო რინკონი და ჯაბა კანკავა

დნიპროპეტროვსკის „დნიპრომ“ მთელი უკრაინა აალაპარაკა — ოთხი მატჩიდან ოთხივე მოგებით ლიდერობს ეროვნულ ჩემპიონატს. „დნიპროს“ სტარტი უკრაინელებმა თავიდან შემთხვევითობად ჩათვალეს, თუმცა მეოთხე ტურმა ყველაფერს გასცა პასუხი: „დნიპრომ“ სტუმრად 3:1 მოუგო კიევის „დინამოს“.
დნიპროელთა ქართველი ნახევარმცველი ჯაბა კანკავა ამ მატჩში ერთ-ერთი გამორჩეული იყო და, ბუნებრივია, ჟურნალისტთა ყურადღებაც დაიმსახურა...

— თქვენ კიევის „დინამოსთან“ მოგებით საბოლოოდ დაამტკიცეთ, რომ პირველ ადგილზე სამართლიანად ხართ. ამ მატჩს „დნიპროსთვის“ განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა?

— მატჩისწინა განწყობა პრობლემა არ იყო — როცა ჩემპიონის წინააღმდეგ თამაშობ, მოტივაცია სულაც არ გაქვს საძებნი. თამაშის წინ მწვრთნელმა გვითხრა, რომ მთავარია, ჩვენი ფეხბურთი ვითამაშოთ, ღირსეული წინააღმდეგობა გავუწიოთ მეტოქეს და შედეგი თავისთავად მოვა.

— ახლა ლიდერები ხართ და თან „დინამოს“ უკვე ცხრა ქულით უსწრებთ. ხომ არ არის საშიშროება, ამან გუნდს ცუდი სამსახური გაუწიოს?

— არა მგონია, ასე მოხდეს. ჩვენ ისევ პირველ ადგილზე ვართ, თუმცა ჩემი აზრით, თანდათან უფრო და უფრო გაგვიჭირდება. პირველი ადგილის შენარჩუნება ძალიან ძნელი იქნება, თუმცა ბოლომდე ვეცდებით, ეს მოვახერხოთ და ისინი არ გავაწბილოთ, ვინც გვგულშემატკივრობს.

— ოლეგ პროტასოვი ნამატჩევს გახარებული იქნებოდა. რა გითხრათ ფეხბურთელებს?

— ცხადია, მწვრთნელს უხაროდა. ყველას მადლობა გვითხრა და დამსახურებული გამარჯვება მოგვილოცა.

# რაპიდმა კერნტენი დაჩაგრა

თბილისის „დინამოს“ საუეფასთასო მეტოქემ, ვენის „რაპიდმა“ გუშინ ავსტრიის ჩემპიონატში მორიგი მატჩი გამართა და „კერნტენი“ 4:0 გაანადგურა.

რაპიდელებმა თითო ტაიმში ორ-ორი გოლი გაიტანეს — სტუმრები მარიო ბაზინამ (მე-4 წუთზე), მარკუს კაცერმა (32), მატე ბილიჩმა (50) და ბრანკო ბოშკოვიჩმა (90) დაამწუხრეს.

საინტერესოა, რომ პირველი ორი ბურთი ვენელთა ლიდერის, გერმანელი ნახევარმცველის შტეფან ჰოფმანის პასით გავიდა.

პეტერ პაკულტმა „კერნტენთან“ ასეთი შემადგენლობით ათამაშა გუნდი: *პაიერი, ტონჰოფერი, ტოკიჩი, პატოჩკა, კაცერი, ჰაიკინენი, ჰოფმანი, ქორქმაზი (ჰოფერი 57), კავლაკი, ბაზინა (ფაბიანო 81), ბილიჩი (ბოშკოვიჩი 68).*

**ქახა შალამბერიძე**

# უეფამ თბილისის დინამოს პოლონეთი გამოუგზავნა



ტომაშ მიკულსკი

უეფას თასის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე თბილისის „დინამო“ ვენის „რაპიდს“ გაეჯიბრება.

პირველი მატჩი თბილისში, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე გაიმართება და უკვე ცნობილია, ვინ უმსაჯებს გუნდებს. უეფას ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, „დინამო“ — „რაპიდს“ პოლონელი მსაჯები მოემსახურებიან: არბიტრი ტომაშ მიკულსკი, ასისტენტები პიოტრ სადჩუკი და რადოსლავ სიეკა, მეოთხე მსაჯი კი მარეკ მიკოლაევსკი.

**ქახა შალამბერიძე**

## ჩემპიონთა ლიგა 2007-2008

### მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩები

ლევადია (ესტონეთი) 2:1 *ცრვენა ზვეზდა (სერბეთი)* (0:1)
1:0 მალოვი (34), 1:1 ბურზანოვიჩი (37), 2:1 ნაჰკი (63)

*ბატე (ბელარუსი)* 1:1 ჰაფნარფიორდური (ისლანდია) (3:1)
0:1 გუდმუნდსონი (33), 1:1 პლატონოვი (90)

*ელფსბორგი (შვედეთი)* 0:0 დებრეცენი (უნგრეთი) (1:0)

შერიფი (მოლდოვა) 0:3 *ბეშიქთაში (თურქეთი)* (0:1)
0:1, 0:2 ბობო (57, 68), 0:3 აკინ (90)

*შახტარი (უკრაინა)* 2:1 პიუნიკი (სომხეთი) (2:0)
0:1 ყარაბახჩიანი (32), 1:1 ბრანდაო (41), 2:1 გლადკი (50)

*სარაევო (ბოსნია)* 0:1 გენკი (ბელგია) (2:1)
0:1 მიკულიჩი (57)

*სტიაუა (რუმინეთი)* 2:1 ზაგლები (პოლონეთი) (1:0)
0:1 სტასიაკი (29), 1:1 ნიკოლიტა (38), 2:1 ზაპარია (82)

*ზალცბურგი (ავსტრია)* 4:0 ვენტსპილსი (ლატვია) (3:0)
1:0 აუფჰაუზერი (10), 2:0 დუდიჩი (48), 3:0 ილიჩი (78), 4:0 ლაიტგები (90)

*როზენბორგი (ნორვეგია)* 7:1 ასტანა (ყაზახეთი) (3:1)
1:0 ი. კონე (1), 2:0 ივერსენი (7), 3:0 ა. ტრაორე (17), 3:1 სუჩკოვი (22), 4:1 ი. კონე (33), 5:1, 6:1 ა. ტრაორე (49, 53), 7:1 საპარა (62)

*სლავია (ჩეხეთი)* 0:0დ.დ. (პენ.4:3) ჟილინა (სლოვაკეთი) (0:0)



ჩემპიონთა ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპიდან რუსთავის „ოლიმპის“ გამგდებ ყაზახურ „ასტანას“ ნორვეგიულმა „როზენბორგმა“ 7:1 გადაურბინა

### გერმანია

ჩრდილოეთ რეგიონალლიგა
II ტური

ვერლი 0:2 ჰამბურგი (მ)
ალენი 3:1 უნიონი
ემდენი 3:1 ბაბელსბერგი
მაგდებურგი 1:1 კოტბუსი (მ)
ობერჰაუზენი 0:1 ვუპერტალი
ლიუბეკი 3:0 ვერდერი (მ)

სამხრეთ რეგიონალლიგა
II ტური

უნტერჰახინგი 2:1 აფულენდორფი

### შოტლანდია

ლიგის თასი. I ეტაპი

ისტ ფაიფი 1:0 ძუინი
პარტიკი 2:1 ერდრი
არბროთი 4:2 ალბიონი
სტრანრარი 1:2 მონტროუზი

### დანია

სუპერლიგა. IV ტური

მიდტიულანდი 2:1 ოლბორგი

### ნორვეგია

თასი. მერვედფინალი

სტაბეკი 3:0 ტრომსიო

### ავსტრია

მაქსბუნდესლიგა. V ტური

რაპიდი 4:0 კერნტენი

### ისლანდია

პრიმერადივიზიონი
XII ტური

რეიკიავიკი 0:3 ვალური

### რუსეთი

თასი. მერვედფინალი

ამკარი 3:1 ტერეკი
კამაზი 0:1 მოსკვა
ცსკა 2:0 ხიმკი
როსტოვი 0:1 ტომი
სატურნი 2:1 მეტალურგი (კრ)
ზენიტი 9:3 დინამო
კუბანი 2:3დ.დ. (1:1) ურალი
ნალჩიკი 3:2დ.დ. (1:1) რუბინი

### ამხანაგური მატჩები

ლიერსი — ტორპუტი გადაიდო
ოლიმპიაკოსი 1:2 ოსასუნა
ჰერაკლესი 2:2 სოსიედადი
გლენტორანი 0:3 მანჩესტერი
ლაციო 2:1 პანათინაიკოსი
რეალი 1:0 ბელენენსეში

### ფინეთი

ვეიკაუსლიგა. XVI ტური

კტპ 0:2 ინტერი



# მაკედონია ოლიმპის დონეს ვერ შესწვდა

**ცოტა** ხნის წინ რუსთავის „ოლიმპს“ შეუერთდა მაკედონიელი ნახევარმცველი დრაგან სტოკოვი, თუმცა მან რუსთაველებს თავი ვერ მოაწონა და, როგორც მთავარმა მწვრთნელმა ვარლამ კილასონიამ გვითხრა, მაკედონიელმა „ოლიმპი“ უკვე დატოვა.

მოგეხსენებათ, დღე-ღდეზე საქართველოს მე-19 ეროვნული ჩემპიონატი იწყება და პირველივე ტურში, 11 აგვისტოს „ოლიმპს“ დიდი ჯახი აქვს — თბილისის „დინამოს“ მასპინძლობს. კილასონიას მცირე კომენტარი ამ თამაშზეც ვთხოვეთ:

„გუნდი „დინამოსთან“ თამაშისათვის სერიოზულად ემზადება. დავით ჭიჭველიშვილის გარდა ყველა ფეხბურთელი მწყობრშია, დანარჩენი კი უშუალოდ თამაშისას გამოჩნდება“.

**ნუკრი ლოლაძე**

# არიფის ოცეული
## აზერბაიჯანმა სათბილისო შემადგენლობა გამოაცხადა

**საქართველოს** 19-წლამდელთა ნაკრები 15 და 17 აგვისტოს ორ ამხანაგურ მატჩს გამართავს აზერბაიჯანელ თანატოლებთან.

ჰაინც ტოპმიოლერს საამხანაგო შემადგენლობა ჯერ არ დაუსახელებია, აი, აზერბაიჯანის 19-წლამდელთა ნაკრების თავკაცმა არიფ ასადოვმა კი ის ოცი ფეხბურთელი უკვე შეარჩია, რომლებსაც საქართველოში ჩამოიყვანს...

ესენი არიან: *ალჩინ სადიხოვი, ოსმან უმაროვი, ტურალ ნარიმანოვი, შახრიარ რაგიმოვი, მაქსიმ მედვედევი, ელხან ჯაბრაილოვი, გადირ მამედოვი, ფუად ვახაბზადე, ბაირამ კერიმოვი, მირიუსიფ ჯავადოვი, ელხად ახმედოვი, ემინ მუსტაფაევი, ეშგინ გულიევი, ელშან გაჯიევი, ელვინ შირიევი, ფარიდ ახვერდიევი, რაუფ ალიევი, ბახტიარ სოლთანოვი, ტელმან ბაირამლი, ელდარ ჰუსეინოვი.*

საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებისთვის ეს ამხანაგური მატჩები ოქტომბერში გასამართი ევროპის 2009 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლისთვის მოსამზადებელი ეტაპია.

შეგახსენებთ, რომ აზერბაიჯანელებთან ამ ორი სპარინგის გარდა ჰაინც ტოპმიოლერის გუნდი 24 და 26 სექტემბერს რუმინეთში გაემგზავრება, სადაც კიდევ ორ ამხანაგურ მატჩს ჩაატარებს მასპინძელთა 19-წლამდელებთან.

**კახა შალამბერიძე**

# სიცხემ დრო შეცვალა
## საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ნახევარი საათით გვიან დაიწყება

**10 აგვისტოს** საქართველოს მე-19 ეროვნული ჩემპიონატი იწყება. საქართველოს ფეხბურთის პროფესიულმა ლიგამ და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ აგვისტოში მატჩების დაწყების დრო თავიდან 17 საათი თქვეს, თუმცა მაღალი სიცხეების გამო გადაწყვეტილება შეცვალეს და დაადგინეს, რომ მატჩები ნახევარი საათით გვიან, 17.30 საათზე დაიწყება.

ეროვნული ჩემპიონატის პირველ ტურში ჯერჯერობით ერთადერთი გამონაკლისია დაშვებული — ორივე გუნდის ურთიერთშეთანხმებით, დედაქალაქელების, „ლოკომოტივისა“ და „ამერის“ მატჩი მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე უფრო გვიან, 18 საათზე დაიწყება.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**


ეროვნული ბიბლიოთეკა

# უეფას თასი და ახალი ქართველები

**ქართველ** მსაჯთა კიდევ ერთი ბრიგადა — ლევან ფანიაშვილი, მამუკა ელიკაშვილი, მამუკა ურუშაძე, ალექსანდრე კრიჭაშვილი — 16 აგვისტოს უეფას თასის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე ბოსნია-ჰერცოგოვინის „შიროკისა“ და ისრაელის „მაკაბის“ მატჩს მოემსახურება.

ეს ცნობა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში უეფას სამდივნომ გუშინ გამოგზავნა.

აქვე იმასაც შეგახსენებთ, რომ 7 სექტემბერს ევროპის 2009 წლის ახალგაზრდული ჩემპიონატის შესარჩევ მატჩს სლოვაკეთისა და ისლანდიის ნაკრებებს შორის გიორგი ვადაჭკორია, გურამ ჩიგოგიძე, ზაზა მენთეშაშვილი და ლევან კვარაცხელია განსჯიან.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ტოპმიოლერი გვყავს, გი რუს ველით
## კახეთმა ფეხბურთი გაიერთიანა

**გუშინ** საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში პრესკონფერენცია გაიამართა.

სფფ-ის გენერალური მდივანი უჩა უგულავა, კახეთის გუბერნატორი გია ნაცვლიშვილი, კახეთის რეგიონული ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი გოჩა როსტომაშვილი და „კახეთის“ მთავარი მწვრთნელი გიგლა იმნაძე ჟურნალისტებს შეხვდნენ.

თემა თელავის „კახეთის“ ბაზაზე შექმნილი მთლიანად რეგიონის გუნდი და, საერთოდ, კახეთში ფეხბურთის პოპულარიზაცია და აღმშენებლობა იყო.

კახეთის რეგიონში შეიქმნა პროგრამა, რომელმაც ფეხბურთი ისეთ პოპულარულ სახეობას უნდა გაუტოლოს, როგორიც ჭიდაობაა...

**გია ნაცვლიშვილი:** კახეთის რეგიონში ფეხბურთის მხრივ მძიმე მდგომარეობაა. თელავს ჰყავდა გუნდი, რომელშიც კახელი ფეხბურთელები თითქმის არ თამაშობდნენ. ეს კი კახეთში ფეხბურთის განვითარებას ხელს უშლიდა, ბავშვებს მოტივაციას უკარგავდა, რათა ისინი ნორმალურ ფეხბურთელებად ჩამოყალიბებულიყვნენ...

...ახლა შევიმუშავეთ გეგმა, რომელსაც უფრო ექსპერიმენტის სახე აქვს. აქცენტი მთლიანად კახელ ბავშვებზე გაკეთდება. გუნდი, რომელიც კახეთში არსებული რვავე მუნიციპალური რეგიონისა იქნება, პირველ ლიგაში ითამაშებს...

...საწყის ეტაპზე გუნდის შედეგზე ორიენტირებული არ იქნება. წინსვლა ეტაპობრივად უნდა მოხდეს. რაც მთავარია, ეს არ იქნება ერთწლიანი გუნდი...

...მუნიციპალური რეგიონების გარდა მოვიძიებთ სპონსორებსაც, თუმც მთავარი ჯერ გუნდის შექმნა იყო. სამ-ოთხ წელიწადში საქმეს წინსვლა უნდა დაეტყოს. შესაცვლელია ადგილობრივი მწვრთნელების არასერიოზული დამოკიდებულება ბავშვთა ფეხბურთისადმი...

...პოპულარიზაციის მიზნით, პროფესიული ფეხბურთის ლიგას ვთხოვეთ, რომ თამაშები მარტო თელავში არ ჩატარდეს. გუნდი მთლიანად კახეთისაა და გვინდა, მან ითამაშოს ყველა იმ რეგიონში, სადაც პირველი ლიგისთვის მისაღები სტადიონებია...

...გუნდი გაერთიანებულია ერთი ორგანიზაციის ქვეშ — კახეთის რეგიონული ფეხბურთის ფედერაცია. გვყავს ახალი მწვრთნელი — გიგლა იმნაძე, რომელიც კლაუს ტოპმიოლერის პროტოტიპია. დაბის კუთხის ყველა რეგიონში და ფეხბურთელებს არჩევს...

...კახეთი დაძმობილებულია საფრანგეთის კუთხე ბურგუნდიასთან, რომლის დედაქალაქი ოსერია. ჩვენ ახლახან ვიმყოფებოდით იქ და ვინახულეთ ერთ-ერთი საუკეთესო სპეციალისტი გი რუ. სულ მალე მას კახეთში ველით და ერთობლივ თანამშრომლობას ვაპირებთ...

**უჩა უგულავა:** მივესალმებით ასეთ წამოწყებას. კახეთის რეგიონს ჩვენი მხრიდან სრული მხარდაჭერა ექნება. ეს იქნება ჩვენი ერთ-ერთი წარმატებული პროგრამის — „ტალანტების მოძიება“ — გაგრძელება...

...2008-09 წლებისთვის კახეთში დასრულებული უნდა იყოს სტადიონის რეაბილიტაცია, რომელიც უკვე გეგმაშია. სამომავლოდ კახეთში, სულ ცოტა, ორი კარგი სტადიონი უნდა იყოს.

**გოჩა როსტომაშვილი:** ნებისმიერ საქმეს სჭირდება საფუძველი და ჩვენ ახლა ვიწყებთ ამ საფუძვლის ჩაყრას. რეგიონში ასაკის მიხედვით შეიქმნება ნაკრებები, რომლებიც კახეთის პირველობაზე ითამაშებენ. პირველი ლიგის გუნდი მთლიანად ადგილობრივი ფეხბურთელებით დაკომპლექტდება. ამისთვის დიდი სასელექციო სამუშაოები მიმდინარეობს...

...ოსერში ვნახეთ საფეხბურთო სკოლებიც. მართალია, იქამდე მისვლა გაგვიჭირდება, მაგრამ ბავშვთა ფეხბურთს უფრო ორგანიზებული ყურადღება ექნება.



**გიგლა იმნაძე:** მე ჯერ სათქმელი არაფერი მაქვს. გუნდი, ძირითადად, თელაველი ფეხბურთელებით არის დაკომპლექტებული. ორი ფეხბურთელი ახმეტიდან ჩამოვიყვანეთ, ერთი საგარეჯოდან, ერთსაც გურჯაანიდან ველით. გავაგრძელებთ სასელექციო სამუშაოებს, პარალელურად კი, ამხანაგურ მატჩებსაც გავმართავთ. ერთია, რომ ჩემპიონატის დაწყებამდე ცოტა დრო გვრჩება.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ალბათ საქართველოდან წავალ

## კახა ცხადაძე გაუნათლებლებს ებრძვის და კლაუს ტოპმიოლერს ემხრობა

**ბოლნისის „სიონის“ ყოფილი მწვრთნელი კახა ცხადაძე ამჟამად ისვენებს. დიდი ხანია, მასთან არ გვისაუბრია და მკითხველისთვის ალბათ საინტერესოა, რას აპირებს კახა ცხადაძე — საქართველოში გააგრძელებს საქმიანობას თუ საზღვარგარეთ წავა? ამის გარდა ცხადაძეს სხვა ბევრიც ვკითხეთ...**



— რაც „სიონიდან“ წამოვედი, მას შემდეგ უმუშევარი ვარ და ვისვენებ. შემოთავაზება არავისგან არ მიმიღია. საქართველოში სულ რამდენიმე კლუბია, რომელთაც სერიოზული ამბიცია გააჩნიათ და რამე წინადადება რომც ყოფილიყო, ისეთ კლუბში ვერ ვიმუშავებ, სერიოზული მიზნები რომ არ ექნება.

**— და რას აპირებთ?**

— საქართველოში მწვრთნელის A და B ლიცენზიები აღებული მაქვს. შემოდგომაზე პროლიცენზიისთვის ალბათ საზღვარგარეთ წავალ და მწვრთნელობასაც იქ გავაგრძელებ, თუმცა ჯერ კონკრეტულად ვერაფერს გეტყვით.

**— თბილისის „დინამო“ და ბოლნისის „სიონი“ თქვენს ხელში გახდნენ საქართველოს ჩემპიონები და წლებია, რაც აქაურ ჩემპიონატს თვალყურს ადევნებთ. როგორ ფიქრობთ, დონემ აიწია?**

— საქართველოში სულ რამდენიმე კლუბი ვითარდება და სწორი გზით მიდის. მაგალითად, თბილისის „ამერი“, სადაც ყველამ თავისი საქმე იცის. კლუბს თუ ინფრასტრუქტურა არ უვარგა, რამე წინსვლაზე საუბარი ზედმეტია. საქართველოში ხშირია ერთწლიანი გუნდები და ამის უამრავი მაგალითიც არსებობს. ყველაზე დიდი პრობლემა კი ახალგაზრდა ფეხბურთელების საქართველოდან გადინებაა — თანაც ისინი ჯერ საშუალო დონის ფეხბურთელები არ არიან, მაგრამ ამ სიდუხჭირის გამო გარბიან. აქ ხელფასი დაახლოებით 500 ლარია, საზღვარგარეთ კი გაცილებით მეტს იღებენ და ოჯახსაც ეხმარებიან და როგორ გინდა, წასვლა აუკრძალო?! ჩვენს ჩემპიონატში არათანაბარი სიტუაციაა, რამდენიმე ნორმალური გუნდია, დანარჩენები კი — სუსტები. სამწუხაროდ, ვერ ვხედავ ქინქლაძის, ჯამარაულის, ნემსაძისნაირი ნიჭიერი ფეხბურთელები მოდიოდნენ. ერთი სიტყვით, წინსვლას ვერ ვამჩნევ.

**— და თქვენი აზრით, როგორ უნდა განვითარდეს ქართული საკლუბო ფეხბურთი?**

— სახელმწიფო მეტად უნდა ამოუდგეს მხარში. კლუბს ბურთიდან დაწყებული ყველაფერი საზღვარგარეთიდან შემოაქვს, რადგან ჩვენთან საფეხბურთო ეკიპირების წარმოება არ ხდება. ეს კი დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული და ისედაც გაძვალტყავებული კლუბები უფრო ცუდ მდგომარეობაში ვარდებიან. მინდვრები ნორმალური რომ იყოს, მორწყვა უნდა. კლუბებს კი წყალზე დიდი გადასახადების გადახდა უწევთ და ესეც გასათვალისწინებელია. ვიცი, უახლოეს ხანში სახელმწიფო 15 მილიონი ლარის დახარჯვას აპირებს საფეხბურთო მინდვრებზე და ეს თუ მოხდა, ძალიან კარგი იქნება.

**— ქართული კლუბების წლევანდელ ევროთასებზე გამოსვლას როგორ შეაფასებთ?**

— „ზესტაფონმა“ თბილისში ყაზახურ „ტობოლს“ პირველ ნახევარში საგრძნობლად აჯობა, მერე კი დალლა დაეტყო და ერთფეროვანი ფეხბურთის თამაში დაიწყო, რაც იმით დასრულდა, რომ მომდევნო ეტაპზე ყაზახური გუნდი გავიდა...

...რუსთავის „ოლიმპი“ რამდენიმე კარგმა ფეხბურთელმა კი დატოვა, თუმცა ნორმალური შევსებაც მიიღო. ჩემზე „ოლიმპმა“ დაულაგებელ-შეუთამაშებელი გუნდის შთაბეჭდილება დატოვა.

...თბილისის „დინამომ“ დაცვაში სუსტად ითამაშა. მათ ძალიან კარგი მეკარე შეიძინე, დიდი ოვონო და სწორედ მას უნდა უმადლოდნენ, თბილისში „ვადუცმა“ რომ ვერ გაგვიტანა. „დინამომ“ სანდრო კობახიძის და გიორგი მერებაშვილის ინდივიდუალური თამაშის წყალობით მოახერხა ლიხტენშტაინური ბარიერის დაძლევა...

...ყველაზე მეტად „ამერი“ მომეწონა. მართალია, პირველივე ეტაპიდან გამოეთიშა გათამაშებას, მაგრამ „ბელხატუვთან“ საშინაო მატჩში ბურთს და თამაშს სულ „ამერი“ აკონტროლებდა, ჭკვიანურად მოქმედებდა, მოკლე პასებით თამაშობდა, უტევდა. ეს ძალიან სასიამოვნო სანახავი იყო...

**— საქართველოში ბავშვთა ფეხბურთი დიდი პრობლემაა. ეს კი ალბათ უმთავრესი საზრუნავია..**

— ჩვენი თაობაც ხრიოკზე გაიზარდა, მაგრამ კარგი მწვრთნელები გვყავდა და ფეხბურთიც იმიტომ ვითამაშეთ. დღეს კი ბავშვების სწორად აღზრდის პრობლემა დგას. საფეხბურთო სკოლებში ბევრი უცოდინარი მწვრთნელია, რაც დამღუპველია. მშობელი ბოლო თეთრებს იკლებს და ბავშვი ფეხბურთზე დაჰყავს, ამიტომ მან აუცილებლად უნდა იკითხოს, ვინ წვრთნის მის შვილს. ფეხბურთის ფედერაციას მხოლოდ ერთი რამის გაკეთება შეუძლია — რომელ მწვრთნელსაც ლიცენზია არ ექნება, მას მუშაობა უნდა აუკრძალოს.

**— თავის დროზე საქართველოს ეროვნული ნაკრების კაპიტანი იყავით. მაშინაც ბევრი ნიჭიერი ფეხბურთელი იყო ნაკრებში, მაგრამ სერიოზული შედეგი მაინც ვერ მივიღეთ...**

— პირველ შესარჩევში მესამე ადგილზე გავედით, ცუდად არც მერე გამოვსულვართ, პოლონეთმა ბურთების სხვაობით გვაჯობა და მესამე საფეხურზე ისინი გავიდნენ. შემდეგ კი დაიწყო მწვრთნელთა ხშირი ცვლა და ქაოსი. ამიტომაც ვერ მივიღეთ კარგი შედეგი. არადა, კარგი შევსებაც მოდიოდა — კობიაშვილი, კალაძე, გახოკიძე, დემეტრაძე, იაშვილი, მაგრამ...

**— დღევანდელ ეროვნულ ნაკრებზე რას იტყვით?**

— რამდენიმე ვარსკვლავი ნაკრებში დღესაც არის, მაგრამ ეს არ კმარა. დიდი პრობლემები გვაქვს შუა ხაზში. მწვრთნელის გამოცვლა კი ახლა არაფრით შეიძლება, ეს არაფერს შეცვლის — ტოპმიოლერი იგი კარგი სპეციალისტია და მუშაობა უნდა აცალონ. ჩემი აზრით, ტოპმიოლერმა ერთი რამე უნდა გაითავისოს — საქართველოში ბევრი მზა ფეხბურთელი არ არის და მათთან უფრო მეტი მუშაობაა საჭირო. მას ისეთ კლუბებში უმუშავია, სადაც ფეხბურთელს რასაც აუხსნი, ყველაფერი ესმის, აქ კი ასე არ არის.

**— ცოტა ხნის წინ კვიპროსზე იყავით და თემურ ქეცბაია ფეხბურთიდან გააცილეთ...**

— იმ დღეს ყველანი ბედნიერები ვიყავით. თემური ძალიან ნერვიულობდა, ვაი, რომ თამაშზე ხალხი არ მოვიდესო, მაგრამ ყველამ ვნახეთ, როგორ გააცილეს კვიპროსელებმა თემურ ქეცბაია. გვინდა, რომ ასეთი მატჩები საქართველოშიც ჩატარდეს. უკვე ვესაუბრეთ ვეტერან ფეხბურთელთა კავშირის თავმჯდომარეს ვაჟა ჟვანიას და ფეხბურთის ფედერაციის გენერალურ მდივან უჩა უგულავას. ისინიც მოწადინებულები არიან და ვნახოთ... ეს ყველასთვის სტიმული იქნება. აქვე მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და ვეტერან ფეხბურთელს, ჩემს მეგობარ მურთაზ შელიას ვაჟის შეძენა მივულოცო.

**— ჩვენც გიერთდებით მილოცვაში და ბოლოს თქვენს ვაჟზე, ბაჩანაზეც გკითხავთ. ცოტა ხნის წინ ის „ამერში“ გადავიდა...**

— როცა გიორგი ჩიხრაძემ მისი „ამერში“ გადაყვანა მთხოვა, ბევრი აღარ მიფიქრია და დავთანხმდი. ამ კლუბში ყველა პირობაა შექმნილი და დანარჩენი უკვე თავად ბაჩანაზეა დამოკიდებული. პერსპექტიულია, მაგრამ თუ დიდი ფეხბურთის თამაში სურს, საკუთარ თავზე ძალიან ბევრი უნდა იმუშაოს.

**ნუკრი ლოლაძე**

# ტორპედო უცნაურად გადარჩა



ქუთაისის „ტორპედო“ გადარჩა, თუ ამას გადარჩენა ჰქვია — კლუბმა გამოძებნა სახსრები და პირველ ლიგაში ითამაშებს.

ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ ეს 15 000 ლარი და საგარანტიო ვალდებულებები თავის თავზე კომპანია „სამმა ტუზმა“ აიღო, რომელიც კლუბის ოფიციალური მეპატრონეა და ახლახან მისი გაყიდვა ჰქონდა გადაწყვეტილი.

ერთიცაა: ამ კომპანიას 15 000 ლარით მეტი ერთი კვირის წინ რომ გადაეხადა, დიდი შანსი იყო, „ტორპედო“ ახლა უმაღლეს ლიგაში ეთამაშა.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**



# კვარაცხელიამ ლიტვური კვარტეტი ჩამოაყალიბა

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების თავდამსხმელი ვახტანგ კვარაცხელია კარიერას ბალტიისპირეთში აგრძელებს.

ქართველ ფეხბურთელს უკვე დებიუტიც ჰქონდა — მისი ახალი გუნდი, ლიტვური „ვეტრა“ სტუმრად „ეკრანასს“ ეთამაშა და 1:2 დამარცხდა.

ქართველი ახალწვეული მწვრთნელმა მოედანზე 61-ე წუთზე შეუშვა და ჩვენებურს 84-ე წუთზე ანგარიშის გათანაბრების კარგი შესაძლებლობაც ჰქონდა, მაგრამ...

შეგახსენებთ, რომ კვარაცხელიამ გასული სეზონი „ბათუმში“ ჩაამთავრა, სადაც რუსთავის „ოლიმპიდან“ იყო განათხოვრებული. იქამდე კი „თბილისში“ თამაშობდა...

კვარაცხელია მეოთხე ქართველია ლიტვის ჩემპიონატში — იქაურ „კაუნასში“ ხომ სამი ჩვენებური, ნუკრი მანჩხავა, გივი კვარაცხელია და აკაკი ხუბუტია ირიცხებიან.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

## საქართველოს ეროვნული ნაკრების ფანკლუბის განცხადება

25 აგვისტოდან 2 სექტემბრამდე ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის, ეროვნული ნაკრების ფანკლუბის და ეროვნული სტადიონის ინიციატივით, 12 წლამდე ასაკის ბავშვთა შორის STREET SOCCER-ის ტურნირი გაიმართება.

თამაშები ეროვნული სტადიონის ტერიტორიაზე მოწყობილ მოედანზე ჩატარდება.

მონაწილეობის მსურველებმა განაცხადები გამოგვიგზავნეთ ელექტრონული ფოსტის მისამართზე:
FANCLUB@FANCLUB.GE
542 542, 877 76 67 70,
893 31 77 72.

განაცხადები მიიღება 23 აგვისტომდე.

*სფფ-ის პრესცენტრი*

## ჩემპიონთა ლიგა 2007–2008
### მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩები

# პოდგორიცაში შავები ახსენეს

**ლევსკი** (ბულგარეთი) 0:1 ***ტამპერე*** *(ფინეთი)* (0:1)
0:1 ნიემი (40)
**ზეტა** (ჩერნოგორია) 0:1 ***რეინჯერსი*** *(შოტლანდია)* (0:2)
0:1 ბისლი (81)
**ბეითარი** (ისრაელი) 1:1დ.დ. (1:0) ***კოპენჰაგენი*** *(დანია)* (0:1)
1:0 იცხაკი (61), 1:1 ოლბოკი (97)
***დინამო*** *(ზაგრები, ხორვატია)* 3:1 **დომჟალე** (სლოვენია) (2:1)
1:0 ვუკოიევიჩი (16), 2:0 შოკოტა (22), 2:1 ზაჰორა (27), 3:1 სამირი (60)


ჟან-კლოდ დარშევილი ქომაგებმა შეურაცხყვეს

„**ტამპერემ**" მეორე მატჩიც მოუგო სოფიის „ლევსკის" და ისტორიაში პირველად გააღწია მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე.

ჩემპიონთა ლიგის შარშანდელი დებიუტანტი „ლევსკი" წლეულსაც ლამობდა იგივეს გამეორებას, მაგრამ პირველი ტაიმის მიწურულს იარი ნიემისგან გაუშვა გოლი და სამის გამტანს კი არ ჰგავდა. მასპინძლებმა მხოლოდ თავიდან ითამაშეს კარგად ნახევარი საათის განმავლობაში და ორი მომენტიც შექმნეს, თუმც ამის მერე „ტამპერემ" იძალა და მშვიდად მიიყვანა საქმე ბოლომდე.

პოდგორიცაში ჩერნოგორიის ჩემპიონი „ზეტა" „რეინჯერსთან" დამარცხდა და მასპინძელთა ფანებმა სტუმართა ორი ფეხბურთელი (დამარკუს ბისლი და ჟან-კლოდ დარშევილი) შავკანიანობის გამო გალანძღეს. ამ ამბავმა უეფას ყურამდე მიაღწია და „ზეტას" დასჯას უპირებენ.

„რასისტებს არ დავინდობთ — თქვა უეფელთა პრესმდივანმა უილიამ გალარდმა — დელეგატის პატაკი ოფიციალურად ჯერ არ მიგვიღია, მაგრამ ვიცით, იქ რაც მოხდა".

დამარკუს ბისლი ამ ზაფხულს იყიდეს და ეს იყო მისი პირველი გოლი „ჩაფრების" მაისურით. ამერიკელმა მარცხენა ფლანგზე მიიღო პასი, საჯარიმოში შევიდა და ბურთი ბადეში შეასრიალა.

„კოპენჰაგენს" დამატებული დრო დასჭირდა „ბეითარის" დასაძლევად და მომდევნო საკვალიფიკაციოში ლისაბონის „ბენფიკას" შეხვდება, რომელთან ერთადაც იყო შარშან ჯგუფში.

მაშინ დანიაში მატჩი 0:0 დასრულდა, ლისაბონში კი მასპინძლებმა 3:1 მოიგეს.

„ბეითარმა" ბარაკ იცხაკის გოლით გადაიყვანა თამაში დამატებით დროში, მაგრამ კოპენჰაგენურ მატჩში გამტანმა 34 წლის მარკუს ოლბოკმა აქაც ივარგა და იესპერ გრონკიაერის პასით იხეირა.

ზაგრების „დინამომ" შინაც სძლია „დომჟალეს" და ხორვატებს ლიგის ჯგუფში მოსახვედრად ბრემენის „ვერდერთან" ჭიდაობა მოუწევთ. ბრაზილიელების — სამირის და ეტოს დაწყებული კომბინაცია ოგნიენ ვუკოიევიჩმა დაავგირგვინა, ექვსი წუთის შემდეგ კი შოკოტამ ეტოს პასით სხვაობა ორამდე გაზარდა. „დომჟალეს" ხორვატმა ფორვარდმა ზაჰორამ მალევე გაქვითა, ხოლო მეორე ტაიმში წერტილი სამირმა დასვა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ვის გაუზრაზდა ცოლი?


ალექსი და კეტი

**გუშინ** ალექს ფერგიუსონი ცოლმა ფეხბურთზე არ გაუშვა — „მანჩესტერ იუნაიტედმა" პრემიერლიგის სეზონის წინ გუნდი ორად გაყო და ბოლო ამხანაგურების ჩასატარებლად ორ სხვადასხვა ადგილას გაუშვა. ერთი თამაში „გლენტორანთან" იყო, მეორე კი „დანფერმლაინთან", მაგრამ რად გინდა, მთავარი მწვრთნელი ვერც ერთს დაესწრო და ვერც მეორეს. მიზეზი: კეტი ფერგიუსონს სახლში საქმე ჰქონდა გასაკეთებელი და ქმრის დახმარება სჭირდებოდა. ხომ არის ისეთი საოჯახო საქმეები, მარტო ქალი რომ ვერ აუდის?

„ვუთხარი თამაში მაქვს-მეთქი, მაგრამ ქვა ააგდო და თავი შეუშვირა, ორივე თამაში ამხანაგურია და არაფერი დაშავდება რომ არ წახვიდე, სახლში უნდა დამეხმაროო — უამბო პრესას სერ ალექსმა, რომელიც, კაცმა რომ თქვას, ამით კმაყოფილიც კი დარჩა — ისე, მეუღლემ ამით გვარიანი თავის ტკივილი ამარიდა. საკმაოდ რთული ამოცანის წინაშე ვიდექი. მამაჩემი „გლენტორანში" თამაშობდა, მე კი „დამფერმლაინში" მიგორებია ბურთი. „რეინჯერსში" გადასვლამდე ჩემი კარიერის საუკეთესო წლები სწორედ ამ გუნდში გავატარე".

მართალია, „მანჩესტერ იუნაიტედი" ორივე თამაშს ფერგიუსონის გარეშე ჩაატარებს, მაგრამ უმწვრთნელოდ, ბუნებრივია, არც ერთგან იქნება და არც მეორეგან. ბელფასტში გუნდს კარლუშ კეიროში უხელმძღვანელებს, ხოლო დანფერმლაინში მაიკ ფილანი. ფილანის განკარგულებაში იქნებიან უეინ რუნი, რაიან გიგზი და ოუენ ჰარგრივზი, ხოლო კეიროშს კრიშტიანუ რონალდუ, რიო ფერდინანდი, მაიკლ კერიკი და ორიც ახალშენაძენი, ნანი და ანდერსონი ეყოლებიან.

კარლოს ტევესის ამბავი კი არც ფერგიუსონისთვის და არც მისი ცოლისთვის გუშინ დილით ცნობილი არ იყო. საქმე ის გახლავთ, რომ პრემიერლიგას ეს თითქოსდა შეთანხმებულ-მოგვარებული საქმე ბიუროკრატიულ ლაბირინთებში უნდა გაეტარებინა და ქაღალდები ეფორმებინა, ეს კი რამდენად მოესწრებოდა, უცნობი გახლდათ.

გასარკვევია „მანჩესტერ იუნაიტედის" მეორე არგენტინელი ვარსკვლავის, გაბრიელ ჰაინცეს ამბავიც. მოგეხსენებათ, მას „ლივერპულში" უნდა გადასვლა, მანჩესტერელები კი არ უშვებენ.

„ვფიქრობ, პრობლემა სატრანსფერო სეზონის ბოლომდე მოგვარდება" — თქვა პრემიერლიგის შეფმა რიჩარდ სკიუდემორმა, თუმცა როგორ შეიძლება განვითარდეს მოვლენები, არ უთქვამს.

**ბაჩუნა კედია**




# რიო ფანი
## კარლოს ტევესით ორივე ფერდინანდი მოიხიბლა

**რიო ფერდინანდი** ამბობს, რომ კარლოს ტევესის „ვესტ ჰემიდან" „მანჩესტერ იუნაიტედში" გადასვლამ გუნდის გარშემო ემოციური აფეთქება გამოიწვია.

საქმე ის გახლავთ, რომ ფერდინანდი ტევესის კარიერაში კარგად ერკვევა. საერთო მეგობრებს რომ თავი დავანებოთ, ინგლისის ნაკრების მცველს „ვესტ ჰემში" ძმა ჰყავს, ანტონ ფერდინანდი, რომელიც უფროს ძმას თავისი გუნდისა და მისი მთავარი გმირის ამბავს, ბუნებრივია, უყვება.

მოგეხსენებათ, არგენტინელი ბოლო რამდენიმე დღეა, უკვე ვარჯიშობს „მანჩესტერის" ფეხბურთელებთან ერთად.

„მან ჩვენთან ერთად სულ რამდენჯერმე ივარჯიშა, მაგრამ ეს საკმარისი გახლდათ, რათა კბილები გამოეჩინა — თქვა რიო ფერდინანდმა — მან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. მე ვიცი კია ჯურაბჩიანიცა და პინი ზაჰავიც. ეს ხალხი უკვე რამდენიმე წელიწადია, ტევესს აქებს და პატრონობს, მათგან კი შემთხვევითობა გამორიცხულია. მეც დაკვირვებით ვსწავლობ ამ ფეხბურთელის რაობასა და კარიერას. ჩემი ძმაც ნიადაგ მის ქებაშია, ის ამბობს, რომ კარლოსი ფანტასტიკური ფეხბურთელია. ერთი სიტყვით, ვფიქრობ ტევესი „მანჩესტერ იუნაიტედს" დიდად გამოადგება, ის საუცხოო შენაძენია".

მოგეხსენებათ, ტევესის გარდა „იუნაიტედმა" ამ ზაფხულს გვარიანი თანხები დახარჯა ოუენ ჰარგრივზის, ნანისა და ანდერსონის ყიდვაზე.

„ეს ბიჭებიც საუცხოონი არიან — ამბობს ფერდინანდი — როდესაც „მანჩესტერ იუნაიტედში" ახალი ფეხბურთელები მოდიან ჩვენ, ძველები, ფანებად ვიქცევით ხოლმე. თავდასხმაში უეინ რუნისა და ტევესის წყვილი დიდებული იქნება, თუმცა მარტო ეს წყვილიც არ იქნება გადამწყვეტი. მწვრთნელი სხვადასხვა კომბინაციას მოიფიქრებს".

**ბაჩუნა კედია**

# გალას კონცერტის ჟამი

**უილიამ გალასმა** თქვა, ამ სეზონში პრემიერლიგის ყოყოჩები „არსენალის" დაჩოქებას რომ მოიწადინებენ, გვარიანად გაკვირვებულები დარჩებიანო.

რატომ არის ფრანგი ასე დარწმუნებული? იმიტომ, რომ არსენ ვენგერის „ბავშვები" უკვე გაიზარდნენ, დიდი მასწავლებლის ხელში ფეხბურთის კარგად თამაში ისწავლეს და ახლა რაგინდარა მეტოქეს შეგიძლიათ გააჯიბროთ. და კიდევ, არის ისეთი რამ, რაც თავად გალასსაც ვერ აუხსნია.



ai, რა უთხრა 29 წლის მცველმა ჟურნალისტებს:

„ნამდვილად არ ვიცი რა, მაგრამ ვხვდები, რომ ამ ზაფხულზე „არსენალში" ბევრი რამ შეიცვალა. დარწმუნებული ვარ, მეტოქეები ჩვენს იოლად გადაგორებას ვერ შეძლებენ, მზად ვართ, ნებისმიერს ღირსეული პასუხი გავცეთ. ვხედავ, რომ ჩვენს ფეხბურთელებს უკვე ზუსტად ესმით, თუ როგორ უნდა ითამაშონ ამა თუ იმ ვითარებაში. თავდასხმაში იმდენი ნიჭიერი ფეხბურთელი გვყავს, რომ გოლებს რაგინდარა მოწინააღმდეგეს ისედაც გავუტანდით, მაგრამ ამიერიდან ამას აღარ ვჯერდებით და ვიცით, რომ შეტევის გარდა სხვა კომპონენტებიც არსებობს. ჩვენ ვიცით, როგორ უნდა დავიცვათ თავი და როგორ უნდა ვიმოქმედოთ ნახევარდაცვაში. გასულ სეზონში გამოცდილება „არსენალის" ყველა ფეხბურთელმა მიიღო და მათთვის პრემიერლიგის ხასიათი და მოთხოვნილებები უცხო აღარ არის...

## გამხეცებული ბავშვები, ანუ რა შეიცვალა არსენალში

...ხშირად, ლამაზი ფეხბურთი საკმარისი არ არის, მით უფრო, როდესაც მოწინააღმდეგე დამდგარა და გრძელი პასებითა და ჩაკიდებებით უახლოვდება შენს საჯარიმოს. ჩვენ მეტი ფიზიკური ბრძოლა გვმართებს და ვგონებ, ამ სეზონში ამ კუთხითაც კარგად ვართ მომზადებულნი".

ბუნებრივია, გალასს მისი თანამემამულის, ტიერი ანრის „ბარსელონაში" გადაბარგების ამბავზეც ჰკითხეს. ვინ და რამ უნდა შეავსოს ის სიცარიელე, ანრის ესპანეთში გადაბარგების შემდეგ რომ დარჩა „არსენალის" იარაღის საცავში? თუმცა, კაცმა რომ თქვას, ბევრი რამ შეუიარაღებელი თვალითაც კარგად ჩანს. „მეთოფეთა" საქმეებში გარკვეულნი გალასის დახმარების გარეშეც იმას ამბობენ, რომ ანრის მაგივრად ლონდონელთა გუნდში წინა პლანზე მოთამაშეთა ერთსულოვნება და უტეხი სულისკვეთება გამოვა. ამის მაგალითი „არსენალმა" უკვე აჩვენა. „მეთოფენი" მოსამზადებელ პერიოდში დუბაისა და ამსტერდამის საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობდნენ. განსაკუთრებით მკაცრი გამოცდა „არსენალს" შაბათს „აიაქსმა" მოუწყო „ამსტერდამ არენაზე". ვენგერის ახალგაზრდებს ფეხებშიც გვარიანად მოხვდათ, მაგრამ ყველაფერს გაუძლეს და 1:0-იც მოიგეს.

„ბოლო პერიოდში ჩვენ დავამარცხეთ „პარი სენ ჟერმენი", „ინტერი", „ლაციო" და „აიაქსი". სწორედ ამ შეხვედრებში ვიგრძენი, რომ ბიჭები ერთსულოვანნი იყვნენ. ვგრძნობდი, რომ ყველა მხოლოდ თავისთვის კი არ თამაშობდა, მეგობრისთვისაც იბრძოდა და სწორედ ეს არის გადამწყვეტი. ახლა უკვე ზუსტად შემიძლია ვთქვა, რომ ჩვენს ბიჭებს ბავშვებივით ვერავინ მოეპყრობა და დიდი ბიჭები ყურებს ველარ აუწევენ. ეს ყმაწვილები ამ სეზონში ჯილდოს მოსაგებად იქნებიან შემართულნი. ისინი აღარ დაუშვებენ, რომ ხალხმა თქვას: ო, „არსენალი"? ეს ხომ ბავშვების გუნდია. ვარჯიშებზე მე ბავშვებს ველარ ვხედავ. მე ვხედავ კაცებს, რომელთაც გამარჯვება სწყურიათ".

ადრე, როდესაც რაღაც ისე ვერ იყო, თანაგუნდელთა დასაცავად პატრიკ ვიეირა, ტონი ადამსი და მარტინ კიოუნი მიიჩქაროდნენ. ამიერიდან ამ ფუნქციის შესათავსებლად გალასი გახლავთ მზად.

„მოედანზე მტკიცე პიროვნება ვარ. ვიბრძვი, რადგან წაგება მეზიზღება. იცით, ხანდახან დანარჩენებსაც უნდა დაელაპარაკო, რათა დარწმუნდე, იციან კი მათაც ასევე ზუსტად, რა სურთ თავად?

–ერთი სიტყვით, დაზუსტებით ვერავინ იტყვის, ვინ გაიმარჯვებს ამ სეზონში, ვინ გახდება პრემიერლიგის ჩემპიონი. მხოლოდ „მანჩესტერ იუნაიტედის", „ლივერპულის" და „ჩელსის" გაბრწყინებას როდი უნდა ველოდოთ, „არსენალს" სამივეს დამარცხება შეუძლია".

უილიამ გალასი „არსენალში" ეშლი კოულის „ჩელსიში" გადასვლის კომბინაციას გადმოჰყვა. ახლა ის ამბობს, რომ მისი საუკეთესო ფეხბურთი „მეთოფეთა" ქომაგებს ჯერ არ უნახავთ...

„გასული სეზონი ჩემთვის იოლი ნამდვილად არ გახლდათ — ამბობს გალასი — ეს იყო ადაპტაციის პერიოდი, როდესაც ჩემს გარშემო უამრავი რამ ხდებოდა. ახლა, როდესაც უკვე ერთი წელიწადია, აქ ვარ, მზად ვარ, საუკეთესო სახით წარმოვჩნდე".

ეს ყველაფერი უილიამ გალასმა პრემიერლიგის „მომენტების შექმნის სქემისადმი" მიძღვნილ ლანჩზე თქვა. ეს სქემა გახლავთ საყმაწვილო და ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარების ის პროგრამა, რომელსაც გაისად 120 მილიონ გირვანქას დაახარჯავენ.

და ბოლოს ისევ ანრიზე.

„ანრის „ბარსელონაში" გადასვლა ჩემთვის სიურპრიზი არ გახლდათ, რადგან ტიერი ჩემი მეგობარია და მას ყოველდღე ველაპარაკებოდი. მან წასვლა გადაწყვიტა და არავის აქვს უფლება, გადაწყვეტილება დაუწუნოს. ყველამ იცის, რა დონის ფეხბურთელიც არის ის და რა დამსახურებაც მიუძღვის „არსენალის" წინაშე. იმედი მაქვს, ის „ბარსელონაში" ბედნიერი იქნება, თუმცა ჩვენ „არსენალში" უნდა დავამტკიცოთ, რომ მისი წასვლით არ დავსუსტდებით".

**ბაჩუნა ქედია**

# უნდა გაგვეძლო



„ლოს ანჯელეს გალაქსის" მაისურით ნათამაშები 16 წუთი, შესაძლოა, საბედისწერო გამოდგეს

AFP

**დევიდ ბექემი** ამბობს, რომ ტკივილგამაყუჩებლებით თამაშს არ ნანობს, მერე რა, რომ ამის გამო მას, შესაძლოა, ინგლისის ნაკრებში თამაშიც კი გაუცდეს.

საუბარია ესპანეთის ჩემპიონატის ბოლო მატჩზე, რომელშიც „რეალი" ჩემპიონი გახდა. ეს გახლდათ 17 ივნისს, მაგრამ, ვაგლახ, ამ ერთი თამაშისთვის ინგლისის ნაკრების ყოფილ კაპიტანს მარცხენა კოჭში სამი ნემსის გაკეთება დასჭირდა. ეს იყო და ეს, მას მერე ახლა უკვე „ლოს ანჯელეს გალაქსის" ვარსკვლავს სრული დატვირთვით აღარც უვარჯიშია.

ამერიკაში გადაბარგების შემდეგ ბექემმა ველარც ახალი გუნდის შემადგენლობაში შეძლო გაბურთავება, უკვე ოთხი ამერიკული ტური გამოტოვა და ამასობაში 22 აგვისტოც მოახლოვდა, თარიღი, როდესაც ინგლისის გერმანიას უნდა ეთამაშოს ამხანაგურად.

„იქნებ, გამაყუჩებლით თამაში მაინც და მაინც ჭკვიანური გადაწყვეტილება არც იყო, მაგრამ მე ეს ნაბიჯი გადავდგი და არ ვნანობ. საერთოდ, ცხოვრებაში არ მიმინიჭებია წამლებითა და ხელოვნური საშუალებებით თამაშისთვის უპირატესობა. ყოველთვის იმას ვცდილობდი, ბუნებრივად გამოვჯანმრთელებულიყავი და მერე გავსულიყავი მოედანზე, მაგრამ ეს საგანგებო ვითარება იყო. „რეალი" ესპანეთის ჩემპიონი ხდებოდა და მეც ყველა ღონე ვიხმარე, ოღონდ კი იმ შეხვედრის მონაწილე ვყოფილიყავი. იმ მატჩში 65 წუთი ვითამაშე და ჩვენ ჩემპიონები გავხდით. დიახ, იმ ტკივილგამაყუჩებელმა დიდი სიკეთე არ მომიტანა, მაგრამ რაც მოხდა, მოხდა".

დევიდ ბექემი ამ კვირაში ყოველდღე დარბის, მაგრამ გვერდულ მოძრაობებს ვერ ახერხებს, ხელს ტკივილი უშლის.

„ლოს ანჯელეს გალაქსის" მენეჯერი ალექს ლალასი კი ამბობს, რომ ბექემს რამდენიმე კვირის წინ, „ჩელსისთან" ამხანაგურ შეხვედრაში თუნდაც 16 წუთით არ უნდა ეთამაშა.

„წარმოუდგენლად გვაწვებოდნენ. ითხოვდნენ, რომ ბექემს იმ დღეს ეთამაშა, მაგრამ ჩვენ უნდა გაგვეძლო. შევცდით" — აღიარა ლალასმა.

**ბაჩუნა ქედია**



AFP

ამერიკაში დევიდ ბექემის პოპულარობა დღითიდღე იზრდება



ლეროი ლიტა

# გავიღვიძე და... ფეხბურთელთა უცნაური ტრავმები

„რედინგის" და ინგლისის ახალგაზრდული ნაკრების ფორვარდმა ლეროი ლიტამ ტრავმა საწოლში მიიღო. ბიჭმა გაიღვიძა, გაიზმორა და ფეხის კუნთი ისე დაეჭიმა, რომ ოთხკვირიანი მკურნალობა გამოუწერეს.

გუნდის მწვრთნელმა სტივ კოპელმა განაცხადა, ლიტას სიარული უჭირს და ფეხი საშინლად სტკივაო.

წინა სეზონში მან 7 გოლი გაიტანა, ივნისში გამართულ ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე კი ინგლისის ერთ-ერთი ლიდერი იყო.

პრემიერლიგა ზეგ იწყება, ხოლო „რედინგი" კვირას, 12 აგვისტოს ჩემპიონ „მანჩესტერს" ესტუმრება.

ამ უცნაურ ტრავმასთან დაკავშირებით, BBC-იმ მსგავსი შემთხვევები გაიხსენა...

„ჩელსის" (1988-1992) ყოფილ მეკარეს დეივ ბისანტს სალათზე მოსასხმელი სოუსის ბოთლი გაუვარდა ხელიდან და ქუსლზე დაეცა, რის გამოც რამდენიმე კვირა ველარ ითამაშა.

„ტოტენჰემის" (1964-1972) ნახევარმცველ ალან მალერს წვერის გაპარსვისას ზურგის კუნთი დაეჭიმა. აქვე ვთქვათ, რომ მალერი ინგლისის ნაკრების პირველი ფეხბურთელია, რომელიც გააძევეს.

რიო ფერდინანდს ტელევიზორის ყურებისას ფეხი გაუკავდა, სანტიაგო კანისარესს კი 2002-ის მუნდიალის წინ შეკრებაზე ლოსიონი გაუვარდა ხელიდან და მისმა ნამსხვრევებმა აქილევსის მყესი დაუზიანა. „ვალენსიას" მეკარემ მსოფლიოს ჩემპიონატი გამოტოვა.

უელსელ დარენ ბერნარდს თავისი ძაღლის მოშარდულზე დაუსხლტა ფეხი და დაშავდა, ხოლო „ვესტ ჰემის" ამჟამინდელი მეკარე რიჩარდ რაიტი სხვენიდან გადმოვარდა და მხარი იტკინა.

ვაჟა ხუციშვილი

# გეყოფათ დასვენება

კარლოს დუნგამ ნაკრებში კვლავ უხმო კაკას და რონალდინიოს.

ბიჭებმა სეზონის ბოლოს დაღლილობაზე დაიჩივლეს და გუნდს „კოპა ამერიკაზე" დააკლდნენ. ახლა დასვენებულები არიან და დუნგამ ალჟირთან ამხანაგური მატჩისთვის გამოიძახა. „კოპა ამერიკას" მომგები ბრაზილია ჩრდილოაფრიელებს მონპელიეში 22 აგვისტოს შეხვდება.

„მათ თავიანთი ნებით გამოტოვეს ტურნირი — თქვა დუნგამ კაკასა და რონალდინიოზე — ნებისმიერი ფეხბურთელი, რომელიც თავის ჯილდოებს კიდევ ერთს შემატებს, უფრო პოპულარული და დაფასებული ხდება. კაკამ და რონალდინიომ ტიტულის მოგების შანსი ხელიდან გაუშვეს, მაგრამ ისევ ექნებათ თავის გამოჩენის საშუალება".



ბრაზილია ალჟირს ბოლოს მსოფლიოს 1986 წლის ჩემპიონატზე შეხვდა და 2:0 მოუგო...

ნაკრებში კვლავ არაა გამოძახებული რონალდო, რომელსაც კარლოს დუნგას გამწვრთნელების შემდეგ ყვითელი მაისურა აღარ ჩაუცვამს.

*მეკარეები:* ჟულიო სეზარი (ინტერი, იტალია), ალეშანდრო დინი (რომა, იტალია);

*მცველები:* დანი ალვეში (სევილია, ესპანეთი), ალექს სილვა (სან პაულუ), ჟილბერტო (ჰერტა, გერმანია), ჟუანი (რომა, იტალია), კლებერი (სანტოსი), ლუსიო (ბაიერნი, გერმანია), მაიკონი (ინტერი, იტალია);

*ნახევარმცველები:* დიეგო (ვერდერი, გერმანია), ლუკასი (ლივერპული, ინგლისი), ელანო (მანჩესტერ სიტი, ინგლისი), კაკა (მილანი, იტალია), ნალდო (ვერდერი, გერმანია), ჟულიო ბაპტისტა (რეალი, ესპანეთი), მინეირო (ჰერტა, გერმანია), ჟოსუე (სან პაულუ), ფერნანდო (ბორდო, საფრანგეთი);

*თავდამსხმელები:* რობინიო (რეალი, ესპანეთი), რონალდინიო (ბარსელონა, ესპანეთი), რაფაელ სობისი (ბეტისი, ესპანეთი), ვაგნერ ლავე (ცსკა, რუსეთი).

# ბასილე ოსლოში ბაჭიით ჩავა

„კოპა ამერიკას" მიღმა დარჩენილი ხავიერ სავიოლა და მაქსი როდრიგესი ალფიო ბასილემ ნორვეგიასთან ამხანაგური მატჩისთვის გამოიძახა, რომელიც 22 აგვისტოს ოსლოში გაიმართება. „დაპატიჟებულები" არ არიან ხუან რომან რიკელმე და გაბრიელ ჰაინცე, რადგან მათი სანაკრებო მომავალი გაურკვეველია, ხოლო კარლოს ტევესს მწვრთნელმა დასვენების საშუალება მისცა.

სავიოლა ცოტა ხნის წინ გადავიდა „რეალში" „ბარსელონადან", სადაც გასულ სეზონში თავიდან ენდობოდნენ და მერე მიივიწყეს. სწორედ „ბარსაში" უთამაშებლობის გამო არ უხმო ბასილემ „ბაჭიას" „კოპა ამერიკაზე". როდრიგესმა კი იმიტომ გამოტოვა ტურნირი, რომ ახალმოშუშებული ტრავმის „გაღვიძებას" მოერიდა, რომელსაც ექვსი თვე მკურნალობდა.

მატჩი ოსლოში არგენტინისთვის პირველი იქნება მას შემდეგ, რაც „კოპას" ფინალში ბრაზილიასთან 0:3 დამარცხდა.

ნაკრებში ასევე გამოძახებულია ფაბრიციო კოლოჩინი, ხოლო ეზეკიელ გარაი და მეკარე სერხიო რომერო დებიუტანტები არიან.

*მეკარეები:* ხუან პაბლო კარისო (რივერ პლეიტი), ოსკარ უსტარი (ხეტაფე, ესპანეთი), სერხიო რომერო (ალკმაარი, ჰოლანდია);

*მცველები:* გაბრიელ მილიტო (ბარსელონა, ესპანეთი), ფაბრიციო კოლოჩინი (დეპორტივო, ესპანეთი), ხავიერ ძანეტი, ნიკოლა ბურდისო (ორივე ინტერი, იტალია), დანიელ დიასი (ხეტაფე, ესპანეთი), ეზეკიელ გარაი (რასინგი, ესპანეთი);

*ნახევარმცველები:* ლუჩო გონსალესი (პორტუ, პორტუგალია), მაქსი როდრიგესი (ატლეტიკო, ესპანეთი), ხოსე სოსა (ბაიერნი, გერმანია), ხავიერ მასკერანო (ლივერპული, ინგლისი), ფერნანდო გაგო (რეალი, ესპანეთი), კრისტიან ლედესმა (ოლიმპიაკოსი, საბერძნეთი), ფედერიკო უნსუე (ამერიკა, მექსიკა);

*თავდამსხმელები:* დიეგო მილიტო (სარაგოსა, ესპანეთი), ლიონელ მესი (ბარსელონა, ესპანეთი), ეზეკიელ ლავესი (ნაპოლი, იტალია), ხავიერ სავიოლა (რეალი, ესპანეთი).

## მორფეომ გააფრინა

უდისციპლინობის გამო „პარმამ" დომენიკო მორფეო [illegible] ით მოკვეთა და „ტროფეო კოლომბინოს" ტურნირზე არ წაიყვანა.

კარიერის განმავლობაში მორფეოს ხშირად მ[illegible] თანაგუნდელებთან თუ მწვრთნელებთან და ეს პირველი შემთხვევა არაა.

მას „ატალანტაში", „ფიორენტინაში", „მილანში", „ვერონაში", „კალიარისა" და „ინტერში" უთამაშია.

წინა სეზონში 23 მატჩში 1 გოლი გაიტანა.

## უეფამ პარტიზანს ესროლა

უეფას სააპელაციო კომიტეტმა ბელგრადის „პარტიზანის" სარჩელი არ დააკმაყოფილა და ტურნირიდან მოკვეთა.

სერბული კლუბი უეფას თასზე ბოსნიურ „ზრინსკის" სტუმრად შეხვდა და 6:1 მოუგო. „პარტიზანის" ფანების ცუდი საქციელის გამო ევროფეხბურთის შეფებმა გუნდი ტურნირს ჩამოაშორეს. სერბებმა გადაწყვეტილება გაასაჩივრეს და სანამ სააპელაციოში განიხილავდნენ, საპასუხო შეხვედრის (2 აგვისტო) დროც დადგა. ამ დროს აკრძალვა შეჩერებული იყო და ბელგრადში „პარტიზანმა" მეორე მატჩშიც აჯობა (5:0) ბოსნიელებს.

გამარჯვებული გუნდის სამწუხაროდ, უეფას სადისციპლინო კომიტეტის გადაწყვეტილება სააპელაციომ გუშინწინ ძალაში დატოვა და „ზრინსკი" მომდევნო ეტაპზე გავიდა, სადაც მაკედონიურ „რაბოტნიჩკის" შეხვდება.

## კანდელას სწყურია

სერია B-ში ჩაქვეითებული „მესინას" ფრანგი მცველი ვინსენ კანდელა გუნდს დაშორდა და სხვაგან გადასვლას ცდილობს.

33 წლის ფეხბურთელს „რეჯინამ", „ტორინომ" და „ცრვენა ზვეზდამ" შესთავაზეს კონტრაქტები, მაგრამ იუარა.

„თამაში ისევ მწყურია, მაგრამ აგვისტოს ბოლომდე ჯერ კიდევ მაქვს დრო და რამეს მოვიფიქრებ" — თქვა ფრანგმა, ვისაც „რომაში" 210 მატჩი (1997-2005) უთამაშია და 14 გოლი გაუტანია.

## ლივერპული სისინებს

„ლივერპულს" „მანჩესტერიდან" გაბრიელ ჰაინცეს ტრანსფერი არ გამოსდის და მადრიდის „რეალიდან" სისინიოს გადაბირებას ცდილობს.

ბრაზილიელი მცველი „რომასაც" უნდა. „ლივერპული" სისინიოში 7 მილიონი გირვანქის გადამხდელია, ფეხბურთელს კი წელიწადში 2 მილიონს სთავაზობს.

## დაითვალეთ თხუთმეტამდე!

ესპანური „ასის" ცნობით, „ბარსელონამ" „ჩელსის" და „ნიუკასლს" შეატყობინა, რომ დეკუს ყიდვა თუ უნდათ, 15 მილიონი გირვანქა გადათვალონ.

კარგა ხანია, ორივე ინგლისური კლუბი დაინტერესებულია პორტუგალიელით, რომელსაც „ბარსას" ძირითად შემადგენლობაში იაია ტურე, ხავი და ანდრეს ინიესტა ავიწროვებენ.

## ევერტონის ორი ცხრამეტად

„ევერტონს" „მიდლსბროსგან" იაკუბუ აიეგბენის შეძენა, ხოლო „ბენფიკადან" მანუელ ფერნანდეშის ტრანსფერის გამოსყიდვა სურს — წერს „სანი".

ამ საქმეების გაჩარხვა კლუბს 19 მილიონი გირვანქა დაუჯდება. იაკუბუში 11-ის გადახდას აპირებენ, დანარჩენს კი „ბენფიკას" გაუგზავნიან, საიდანაც ექვსი თვის წინ ფერნანდეში ითხოვეს.

## დიავარა ბორდოს დალევს

ჩემპიონლიგის „ჩარლტონის" სენეგალელი მცველი სულეიმან დიავარა „ბორდოში" გადავიდა და ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა. კლუბებმა გარიგების ფასი არ გაამხილეს.

ფეხბურთელი შარშან ზაფხულს იყიდა „ჩარლტონმა" „სოშოდან", მაგრამ პრემიერლიგაში ადგილის შენარჩუნება მაინც ვერ შეძლო.

შევახსენებთ, რომ „ბორდოს" ლორან ბლანი წვრთნის, რომელმაც ამ ზაფხულს მეტიუ შალმე, ალოუ დიარა და დევიდ ბელიონი დაიმატა.

## სარეკორდო გორდონი

„ჰართსისა" და შოტლანდიის ნაკრების მეკარე კრეიგ გორდონი როი კინის „სანდერლენდმა" 7 მილიონ გირვანქად შეიძინა და 24 წლის ბიჭი ყველაზე ძვირადღირებული გოლკიპერი გახდა ბრიტანული ტრანსფერების ისტორიაში.

შვიდი მილიონი ცხრამდე გაიზრდება, თუ როი კინის გუნდი პრემიერლიგაში ადგილს შეინარჩუნებს.

გორდონმა „შავ კატებთან" ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

## ბაიანო ამოვიდა

პრიმერადივიზიონში დაბრუნებულმა „მურსიამ" „სელტადან" ბრაზილიელი ფორვარდი ფერნანდო ბაიანო იყიდა. 28 წლის მეგოლეში 3 მილიონ 400 ათასი გირვანქა გადაიხადეს და სამწლიანი ხელშეკრულება გაუფორმეს. ესაა „მურსიას" მე-11 შენაძენი ამ ზაფხულს.

ბაიანოს „კორინთიანსში", „ფლამენგოში", „ვოლფსბურგში", „სან კაეტანოსა" და „მალაგაში" უთამაშია.

ვაჟა ხუციშვილი

# ჯილარდინო გარისკვას აპირებს

ალბერტო ჯილარდინო „მილანის“ ვარჯიშებზე კარგად გამოიყურება — მან მუხლის ტრავმა ბოლომდე მოიშუშა და ძალიან მონდომებულია. „როსონერის“ ფანები 25 წლის ფორვარდისგან მეტს ელიან და მომავალ სეზონში თავად ჯილარდინოც აპირებს კრიტიკოსების შთამბეჭდავი თამაშით გაჩუმებას. რამდენად გამოუვა ეს, ცალკე საკითხია, ფაქტი კი ჯერჯერობით ის გახლავთ, რომ „მილანში“ გატარებულ ორ სეზონში ის ძველი, პარმელი ჯილა ჯერ არ გვინახავს...



— ვარჯიშებზე კარგად გამოიყურებით. როგორც ჩანს, ბოლომდე მომჯობინდით...

— თავს ნამდვილად კარგად ვგრძნობ. ბოლო პერიოდში ბევრი და ნაყოფიერად ვიმუშავე. მოსკოვში გამართულ ამხანაგურ ტურნირში მონაწილეობა არ მიმიღია, მაგრამ ჩემს მწვრთნელებთან ერთად ვვარჯიშობდი. მუხლის საქმეც კარგად მაქვს, რამდენიმე ტესტი გავიარე და ყველაფერი რიგზეა. მეც და მთელ გუნდსაც კიდევ დიდი დრო გვაქვს სამუშაოდ და თამაშის გასაუმჯობესებლად, ბევრ რამეში უნდა მოვუმატოთ. თუმცა პირადად მე უკვე კარგ ფორმაში ვარ და თავს ბედნიერად ვგრძნობ.

— ეთანხმებით მათ, ვინც გეუბნებათ, რომ უფრო რისკიანად და შემართულად უნდა ითამაშოთ, ისე როგორც „პარმაში“ თამაშობდით?

— შეიძლება გაგიკვირდეთ, მაგრამ გეტყვით, რომ ამ ორ წელიწადში, რაც „მილანში“ ვარ, იყო ეპიზოდები, როცა ისე არ გამირისკავს, როგორც ამას „პარმაში“ ვაკეთებდი. მართალია, რომ აქ გადმოსვლის შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა. აუცილებლად უნდა დავიბრუნო გოლის ძველებური ალღო, რომელიც ყოველთვის მქონდა და კარგად თამაშის საშუალებას მაძლევდა. ვიმეორებ, ახლა თავს კარგად ვგრძნობ და ძალიან შემართული ვარ. მინდა, მომავალ სეზონში ეს მინდორზე დავამტკიცო ბევრი გოლის გატანით და სასარგებლო თამაშით. იმედია, ასეც იქნება.

— ხშირად გაკრიტიკებენ და არჩევენ, იმსახურებ თუ არა „მილანში“ თამაშს. ეს გაბრაზებთ?

— მე უკვე საკმაოდ დიდი ვარ იმისთვის, რომ ყველაფერი კარგად გავაანალიზო. თანაც სერია A-ში უკვე 7 წელია, ვთამაშობ და საკმაოდ გამოცდილი ვარ. ასე რომ, ამგვარი რაღაცები ჩემზე არ მოქმედებს. ბევრი რთული პერიოდი მქონია, მაგრამ ისინი მშვიდად გადამილახავს. ბოლო ორ წელიწადში ხასიათი კიდევ უფრო განმიმტკიცდა. მთავარია, ჩემი საქმე კარგად ვაკეთო, ანუ პირველ რიგში გოლები გავიტანო. კრიტიკოსებს კი შეუძლიათ, თავიანთი აზრები გამოთქვან.

— ალექსანდრე პატომ უკვე წაივარჯიშა „მილანელოზე“. ახალგაზრდა ბრაზილიელი ტალანტი ჯერ მხოლოდ 17 წლისაა და რისი უნდა ეშინოდეს მას „მილანის“ დარ დიდ გუნდში გადმოსვლის და ამდენი ვარსკვლავის გარემოცვაში მოხვედრის შემდეგ?

— პატოს არაფრის არ უნდა ეშინოდეს. მისი თამაში ტელევიზორში ვნახე და იგი მართლაც ძალიან ნიჭიერია. ჩვენ მას მშვიდად მუშაობის და განვითარების საშუალება უნდა მივცეთ, ყოველგვარი ზეწოლის გარეშე და, ვფიქრობ, შესაძლოა, დიდი ფეხბურთელი დადგეს. იგი უკვე ჩინებული მოთამაშეა, მაგრამ კიდევ დიდი პოტენციალი აქვს.

— რა არის თქვენი მიზანი მომავალ სეზონში?

— ჩემი და მთელი გუნდის მიზანია, ევროპის სუპერთასისა და მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატის მოგება, ასევე იტალიის ჩემპიონატში, თასზე და ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვება. ყველა ეს ტურნირი ძალიან მნიშვნელოვანია. თუმცა პირველ ორს გამოვყოფდი, რადგან თუ მათ მოვიგებთ, დანარჩენებისთვის ბრძოლას უფრო შემართულად და თავდაჯერებულად გავაგრძელებთ.



# მიშველე, სტეფანო!

## დელ პიერომ ძმას დაუძახა

ალესანდრო დელ პიერო და „იუვენტუსი“ კონტრაქტის გახანგრძლივებაზე ვერ რიგდებიან. ტურინული კლუბის თილისმას 2010 წლამდე სურს დარჩენა, „იუვე“ კი 2009-მდე და თან შემცირებული ხელფასით სთავაზობს ხელშეკრულებას.

32 წლის ფეხბურთელმა ტრავმები საბოლოოდ მოიშუშა და სეზონისწინა მატჩებშიც კარგად ითამაშა.

„პინტურიჩოს“ ძმა და აგენტი სტეფანო „იუვეს“ გენერალურ დირექტორ ჟან-კლოდ ბლანთან შეხვედრას აპირებს ჯამაგირზე მოსალაპარაკებლად. სტეფანო დელ პიერო ძმისთვის 3 მილიონ გირვანქას ითხოვს.

„იუვეს“ ნახევარმცველმა მარკო მარკიონიმ კი გასულ კვირაში ინგლისურ ტურნეში მარცხენა ფეხის თითი მოიტეხა, მაგრამ ოპერაციას არ გაუკეთებენ. მის მკურნალობას დაახლოებით სამი თვე დასჭირდება. დაშავებულნი არიან ჯანლუიჯი ბუფონი, მაურო კამორანეზი, პაველ ნედვედი და ზდენეკ გრიგერა, რომლებიც სამგუნდიან ტურნირში (გუშინ ნეაპოლში დაიწყო) „იუვენტუსს“ ვერ დაეხმარებიან.

ტურნირამდე კლაუდიო რანიერიმ პრესკონფერენცია გამართა და განაცხადა: „ჯორჯო კიელინი არ იყიდება. გამიკვირდებოდა, მას აქედან წასვლა რომ მოენდომებინა“.

შეგახსენებთ — კიელინის შეძენას „მანჩესტერ სიტი“ ცდილობდა, მაგრამ საბოლოოდ ფეხბურთელმა ტურინში დარჩენა გადაწყვიტა.

გარდა ამისა, იტალიელმა მწვრთნელმა თქვა: „მესმის ფანების სურვილი და ვიცი, რომ ისინი მოგებებს ელიან, მაგრამ ამ ტურნირს მოსამზადებლად გამოვიყენებთ, რათა ჩემპიონატის დასაწყისისთვის კარგ ფორმაში ვიყოთ“.

ამხანაგურ მატჩებში „იუვენტუსი“ „ჰამბურგთან“ და „ნიუკასლთან“ დამარცხდა, „სანდერლენდს“ კი დაუზავდა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# აკილანისთვის ინტერი რომაა

იტალიური „რომას“ ახალგაზრდა ვარსკვლავი ალბერტო აკილანი მიიჩნევს, რომ მის კლუბს სკუდეტოსთვის ბრძოლაში „ინტერთან“ გაჯიბრება შეუძლია.

შეგახსენებთ, რომ წინა სეზონში „რომა“ „ინტერს“ 22 ქულით ჩამორჩა, ამ ზაფხულს კი „გლადიატორებმა“ წამყვანი მცველი კრისტიან კივუ სწორედ „ნეროაძურის“ მიჰყიდეს. სპეციალისტების აბსოლუტური უმეტესობის აზრით, მომავალ სეზონში სერია A-ს ფავორიტი ისევ „ინტერია“, რომელსაც კონკურენციას, პირველ რიგში, თანაქალაქელი „მილანი“ გაუწევს, ხოლო „რომას“ მესამე-მეოთხე ადგილისთვის მოუწევს ბრძოლა. თუმცა დედაქალაქელთა 23 წლის ნახევარმცველი სხვაგვარად ფიქრობს.

ალბერტო აკილანი: „ჩვენ უცვლელი შემადგენლობა გვყავს, გუნდის ხერხემალი იგივეა, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ კივუ დავკარგეთ და რამდენიმე ფეხბურთელი დავიმატეთ. წინა სეზონში ჩვენ „ინტერს“ ბევრად არ ჩამოვრჩებოდით, ქულათა შორის სხვაობას რეალური სურათი არ აუსახავს. არც ახლა ვართ მილანელებზე მნიშვნელოვნად სუსტები.“

აღვნიშნოთ, რომ სერია A-ს დაწყებამდე „რომა“ და „ინტერი“ ერთმანეთს 19 აგვისტოს შეხვდებიან და იტალიის სუპერთასს გაითამაშებენ. რომაელებს კარგად ახსოვთ 2006 წლის სუპერთასი, როცა „ნეროაძურის“ 3:0-ს უგებდნენ, მაგრამ საბოლოოდ დამატებით დროში 4:3 დამარცხდნენ. იმ შეხვედრაში აკილანიმ დუბლი გააძრო. წინა სეზონის ბოლო ნაწილი კი მას ტრავმის გამო გაუცდა.

„წინა სუპერთასი კარგადაც მახსენდება და ძალიან ცუდადაც. ორი გოლი გავიტანე, 3:0-ს ვიგებდით და პირველი ტაიმის შემდეგ უბედნიერესი ადამიანი ვიყავი, მაგრამ, როცა მატჩი დასრულდა და დავმარცხდით, ჩემზე დამწუხრებული კაცი ძნელი სანახავი იყო. ახლა ბრწყინვალე შანსი გვაქვს, იმ მარცხისთვის შური ვიძიოთ. თან, თუ სუპერთასს „ინტერს“ მოვუგებთ, სეზონს კარგ გუნებაზე დავიწყებთ, ეს დამატებითი სტიმული იქნება. რაც შეეხება პირადად მე, მინდა, „რომაში“ დიდხანს დავრჩე და ჩემი შესაძლებლობები მაქსიმალურად გამოვავლინო. ერთი სული მაქვს, როდის დაიწყება სეზონი“ — დასძინა აკილანიმ.

**კოკი ქანდელაკი**



# პერენის მრავალფეროვანი ხედვა

## ტაქტიკა საგანგებოდ ჟუნინიოსთვის

**ფრანგული „ლიონი" ზედიზედ ხუთჯერ გახდა ქვეყნის ჩემპიონი და ახლა მიჯრით მეექვსე ტიტულსაც უმიზნებს. საინტერესოა, რომ იქამდე „ლომებს" არც ერთხელ არ მოეგოთ ჩემპიონატი. ბოლო წლებში კი „ლიონი" ერთ-ერთი ყველაზე სტაბილური კლუბია ევროპაში და საფრანგეთშიც სხვებზე ერთი თავით მაღლა იდგა. ამ ბოლო პერიოდში კლუბში სერიოზული ცვლილებები მოხდა და ვითარება ცოტა აირია, რაც იმის გარანტიას ვერ იძლევა, რომ მომავალ სეზონში „ლომები" ძველებურად კარგ თამაშს აჩვენებენ. uefa.com-ი გუნდის ახალ მთავარ მწვრთნელ ალან პერენს ესაუბრა...**

### ცვლილებები და არეულობა

ამ ზაფხულს გუნდი დატოვეს მწვრთნელმა ჟერარ ულიემ და ლიდერებმა — ერიკ აბიდალმა, ფლორან მალუდამ და ტიაგუ მენდეშმა. მათ მიჰყვნენ „ლომების" ექსკაპიტანი კლაუდიო კასაპა, ჟერემი ბერტო და ალიუ დიარა.

აირია ვითარება — სიდნეი გოვუმ და ჟუნინიო პერნამბუკანომ საჯაროდ წაჩხუბება „მოახერხეს". ხოლო სილვენ ვილტორდისა და ფრედის მომავალი გაურკვეველია, მათ დისციპლინის დარღვევისთვის მსუყე ჯარიმები ელით.

### ვითარების განმუხტვა

დაძაბულობის განეიტრალება და ვითარების განმუხტვა „ლიონის" ახალ მწვრთნელ ალან პერენს უწევს, რომელმაც წინა სეზონში „სოშოსთან" ერთად საფრანგეთის თასი მოიგო.

„გუნდში მოსვლის შემდეგ რამდენიმე დაძაბული მომენტის მომსწრე გავხდი, თუმცა ეს არცთუ წარმატებული სეზონის მერე გასაკვირი არც არის. ყველანი ძალიან დამწუხრებულნი იყვნენ ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში „რომასთან" მარცხით. გუნდი ძალიან ბევრმა ფეხბურთელმა დატოვა. მოვედი მე, ახალი მწვრთნელი და, ფაქტობრივად, მთელი სისტემა შეიცვალა...

ეს რთული პერიოდია" — ამბობს პერენი.

### მოსამზადებელი პერიოდი

შესაძლოა, „ლიონში" ამჟამად ძველებურად დალაგებული ვითარება არ არის, მაგრამ კლუბს შედეგები ჯერჯერობით ისევ კარგი აქვს. „ლომებმა" მოიგეს ამხანაგური მატჩები, შემდეგ საფრანგეთის სუპერთასი პერენის ყოფილ კლუბ „სოშოსთან" ანგარიშით 2:1 და იმარჯვეს ჩემპიონატის პირველ ტურშიც „ოსერთან" — 2:0.

ალან პერენი: „დასაწყისისთვის აუცილებელი იყო გარკვეული გამოსაცდელი პერიოდი. ვაკვირდებოდი მოთამაშეებს ვარჯიშებზე და ისინიც მეჩვეოდნენ და ჩემს მოთხოვნებს ეგუებოდნენ. საბოლოოდ ყველაფერი კარგად დასრულდა, ფეხბურთელებთან კარგი ურთიერთობა ჩამომიყალიბდა და ისინი ძალიან შემართულნი არიან. გუნდში ახალი მწვრთნელისა და ფეხბურთელების მოსვლა დადებითად მოქმედებს მოტივაციაზე, მაგრამ იმავეს ვერ ვიტყვი სტაბილურობაზე. ასეა თუ ისე, გუნდის ხერხემალი იგივეა — გრეგორი კუპე, კრისი, ჟუნინიო, კიმ კალსტრიომი და ჟერემი ტულალანი."

### მიზანი

როგორც გითხარით, „ლიონი" მიჯრით მეექვსე ჩემპიონობას უმიზნებს და ამის საფუძველიც აქვს. სპეციალისტები მთავარ ფავორიტად „ლომებს" მიიჩნევენ. მით უმეტეს, გუნდი ძლიერმა მოთამაშეებმა კი დატოვეს, მაგრამ არანაკლებ კარგები მოვიდნენ — მეტიუ ბოდმერი, კადერ კეიტა, ფაბიო გროსო და ნადირ ბელჰადი. ამას ემატება გუნდის ახალგაზრდა, პერსპექტიული მოთამაშეები — ბენზემა, ბენარფა, რემი...

„ჩვენი პროგრამა-მინიმუმი საფრანგეთის ჩემპიონატის მოგებაა — ამბობს პერენი — ვიღაც იტყვის, რომ ეს ადვილია, მაგრამ ასე არ არის, რადგან ჩვენი კონკურენტები საგრძნობლად გაძლიერდნენ. მაგალითად, „მარსელი" ძალიან სოლიდურად გამოიყურება, ასევე „მონაკო". არც პსჟ-ს ჩამოწერა შეიძლება. ეს კლუბები ალბათ ძალიან გაახარა „ლიონის" ბოლოდროინდელმა პრობლემებმა. ამიტომ ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი გახლდათ სეზონის მოგებებით დაწყება."

### ადგილი ჟუნინიოსთვის

თითქმის სამწლინახევრიანი პერიოდის შემდეგ, „ლიონი" პირველად გადაერთო 4-3-3-დან 4-4-2-ზე და ამას გუნდისთვის წარმატებულ თამაშში ხელი არ შეუშლია. ერთი ესაა, 4-4-2-მა, შესაძლოა, გარკვეული პრობლემები შეუქმნას ჟუნინიოს, რომელიც 4-3-3 სქემით თამაშისას თავს ისე გრძნობს, როგორც თევზი წყალში, იგი ნახევარდაცვის ცენტრში ჯადოქრობს და მარცხენა ფლანგზეც ხშირად გადადის ხოლმე. თუმცა პერენის აზრით, ყველაფერი რიგზე იქნება.

„საქმე ის არის, რომ ხალხი მიეჩვია „ლიონის" სათამაშო სტილს. 4-4-2 კი ჩვენს თავდასხმას უფრო მრავალფეროვანს გახდის. რაც შეეხება ჟუნინიოს, იგი მრავალმხრივი მოთამაშეა და მზად არის, თავი ცოტა სხვა პოზიციაზეც გამოიჩინოს. მაგალითად, მას შეუძლია, ფლანგზე ან ერთ-ერთი ცენტრალური ნახევარმცველის პოზიციაზე ითამაშოს, გააჩნია მატჩის ხასიათს. არა მგონია, ეს პრობლემა იყოს. მეტსაც გეტყვით, საგანგებო ტაქტიკას განვიხილავ, რომელიც ჟუნინიოს საუკეთესოდ მოერგება და თამაში უშუალოდ მასზე იქნება აწყობილი, რადგან იგი ძალიან ნიჭიერი მოთამაშეა და ლიდერად ალვიქვამ" — განაცხადა 50 წლის სპეციალისტმა.

### ტაქტიკური მრავალფეროვნება

პერენის აზრით, ტაქტიკური მრავალფეროვნება და მრავალმხრივობა გადამწყვეტია ევროტურნირებზე და, ზოგადად, წარმატებისთვის. შეგახსენებთ, რომ „ლიონი" წინა სეზონში ჩემპიონთა ლიგას მერვედფინალიდან გამოეთიშა. იმის წინ კი ზედიზედ სამჯერ — მეოთხედფინალიდან.

„ევროტურნირებზე წარმატებისთვის მნიშვნელოვანია გუნდში მრავალმხრივი მოთამაშეები გყავდეს — აგრძელებს იგი — მეტოქის მიერ შემოთავაზებული ტაქტიკის მიხედვით, მათ სხვადასხვანაირად მოქმედება უნდა შეეძლოთ, ყველაფრისთვის მზად უნდა იყვნენ, რადგან ევროსარბიელზე და განსაკუთრებით ჩემპიონთა ლიგაში ტაქტიკურად უაღრესად გამართული გუნდები თამაშობენ. უეფას რეიტინგში ჩვენ მეათე ადგილზე ვართ. ასე რომ, ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში გასვლა უკვე დიდი წარმატება იქნება. ნახევარფინალში მოსახვედრად კი ფავორიტების რანგში ნამდვილად ვერ ვიბრძოლებთ, ძალიან ბევრი ჩვენზე ძლიერი კლუბია".

### ფანების ამბიციები

ერთია, რეალურად რა შეუძლია „ლიონს" და მეორე, რა სურთ „ლომების" ქომაგებს. უდავოა, რომ ისინი პერენის გუნდისგან სწორედ ჩემპიონთა ლიგაში წარმატებულ გამოსვლას ითხოვენ და მხოლოდ საფრანგეთის ჩემპიონატის მოგებით ალბათ არ დარჩებიან კმაყოფილნი.

„ვიცი, რომ მოთხოვნები და მოლოდინი სერიოზული და დიდია. ჩვენგან ყოველ მატჩში გამარჯვებას ელიან. რა გაეწყობა, სიამოვნებით ვიღებ ამ გამოწვევას" — დასძინა პერენმა.

**გიორგი კაკაბაძე**



AFP




# სპალეტის ნაქები ლამურა

**ვალენსიელი** ემილიანო მორეტის ყიდვა „რომას" უნდა. ფეხბურთელი 2004 წლიდანაა „ლამურებში" და გასულ სეზონში 23 მატჩი ითამაშა.

„ემილიანო „რომას" ანტრენერები და ლუჩანო სპალეტის არაერთხელ უქია იგი — თქვა მორეტის ძმამ და აგენტმა ანდრეამ — ჩვენ იტალიაში დაბრუნებაზე მაინცდამაინც არ ვფიქრობდით, მაგრამ „რომა" ის გუნდია, რომელსაც ჩემი ძმა დიდ პატივს სცემს. „რომას" და „ვალენსიას" ემილიანოს თაობაზე მოლაპარაკებაც ჰქონდათ."

„ლამურებმა" მორეტი 6 მილიონ 500 ათას გირვანქად შეაფასეს და აგენტი დარწმუნებულია, რომ ესპანელები მისი ძმის განათხოვრებაზე უარს იტყვიან.

„პრიმერადივიზიონში მოთამაშე ფეხბურთელის იაფად ყიდვა შეუძლებელია. „ვალენსია" ექვსნახევარზე ნაკლებად არ დათანხმდება და ერთწლიან იჯარაზეც უარს იტყვის" — განაცხადა ანდრეა მორეტიმ.

**ვაჟა ხუციშვილი**

## შვეიცარია

სუპერლიგა
გადადებული მატჩი
თუნი 0:1 სიონი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სიონი | 4 | 3 | 1 | 0 | 6:1 | 10 |
| იანგ ბოისი | 4 | 2 | 2 | 0 | 11:6 | 8 |
| ციურიხი | 4 | 2 | 1 | 1 | 8:4 | 7 |
| ბაზელი | 4 | 2 | 1 | 1 | 6:6 | 7 |
| ლუცერნი | 4 | 1 | 2 | 1 | 6:8 | 5 |
| გრასჰოპერი | 4 | 1 | 1 | 2 | 6:6 | 4 |
| ქსამაქსი | 4 | 0 | 4 | 0 | 4:4 | 4 |
| თუნი | 4 | 1 | 1 | 2 | 3:5 | 4 |
| აარაუ | 4 | 0 | 3 | 1 | 4:7 | 3 |
| სენტ გალენი | 4 | 0 | 0 | 4 | 1:8 | 0 |

## შვედეთი

ალსვენსკა. XVII ტური
მალმიო 1:1 ჰელსინგბორგი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰალმსტადი | 16 | 8 | 5 | 3 | 25:17 | 29 |
| ელფსბორგი | 17 | 8 | 5 | 4 | 25:18 | 29 |
| იურგორდენი | 16 | 8 | 4 | 4 | 22:14 | 28 |
| კალმარი | 16 | 8 | 2 | 6 | 23:16 | 26 |
| გიოტებორგი | 16 | 7 | 4 | 5 | 25:19 | 25 |
| ჰამარბი | 16 | 7 | 3 | 6 | 22:17 | 24 |
| აიკ | 16 | 6 | 4 | 6 | 17:18 | 22 |
| მალმიო | 16 | 5 | 6 | 5 | 18:15 | 21 |
| გაის | 16 | 5 | 6 | 5 | 16:17 | 21 |
| ჰელსინგბორგი | 16 | 5 | 5 | 6 | 24:23 | 20 |
| გეფლე | 16 | 5 | 5 | 6 | 15:18 | 20 |
| იორებრო | 16 | 3 | 6 | 7 | 15:24 | 15 |
| ტრელებორგი | 17 | 4 | 3 | 10 | 18:30 | 15 |
| ბრომაპოიკარნა | 16 | 3 | 4 | 9 | 12:31 | 13 |

# სარბიელი და კროკო


## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. პრემიერლიგა** | | | | | | |
| | | **11 აგვისტო** | | | | | | |
| 15:00 | 1 | არსენალი-ფულემი | 1.30 | 4.20 | 9.00 | 1.00 | 1.13 | 2.86 |
| 15:45 | 2 | სანდერლენდი-ტოტენჰემი | 3.10 | 3.20 | 2.10 | 1.57 | 1.25 | 1.26 |
| 18:00 | 3 | ბოლტონი-ნიუკასლი | 2.35 | 3.20 | 2.65 | 1.35 | 1.24 | 1.44 |
| 18:00 | 4 | დერბი-პორტსმუთი | 2.60 | 3.15 | 2.40 | 1.42 | 1.24 | 1.36 |
| 18:00 | 5 | ევერტონი-უიგანი | 1.55 | 3.40 | 5.50 | 1.06 | 1.20 | 2.10 |
| 18:00 | 6 | მიდლსბრო-ბლექბერნი | 2.30 | 3.20 | 2.70 | 1.33 | 1.24 | 1.46 |
| 18:00 | 7 | ვესტ ჰემი-სიტი | 1.85 | 3.15 | 3.50 | 1.16 | 1.21 | 1.65 |
| 20:15 | 8 | ასტონ ვილა-ლივერპული | 3.65 | 3.20 | 1.85 | 1.70 | 1.22 | 1.17 |
| | | **12 აგვისტო** | | | | | | |
| 16:30 | 9 | ჩელსი-ბირმინგემი | 1.15 | 5.50 | 14.00 | 1.00 | 1.06 | 3.94 |
| 19:00 | 10 | მანჩესტერი-რედინგი | 1.20 | 4.80 | 12.00 | 1.00 | 1.09 | 3.42 |
| | | **ინგლისი. ჩემპიონატი** | | | | | | |
| | | **11 აგვისტო** | | | | | | |
| 18:00 | 11 | ბარნსლი-ქოვენთრი | 2.40 | 3.15 | 2.55 | 1.36 | 1.23 | 1.40 |
| 18:00 | 12 | ბრისტოლი-ქპრ | 2.00 | 3.20 | 3.10 | 1.23 | 1.21 | 1.57 |
| 18:00 | 13 | ბარნლი-ვესტ ბრომვიჩი | 2.50 | 3.20 | 2.30 | 1.40 | 1.19 | 1.33 |
| 18:00 | 14 | კარდიფი-სტოკი | 2.10 | 3.20 | 2.90 | 1.26 | 1.21 | 1.52 |
| 18:00 | 15 | ჩარლტონი-სკანთორპი | 1.45 | 3.50 | 6.40 | 1.02 | 1.18 | 2.26 |
| 18:00 | 16 | ჰალი-პლიმუთი | 2.10 | 3.20 | 2.90 | 1.26 | 1.21 | 1.52 |
| 18:00 | 17 | იფსვიჩი-უენსდი | 2.10 | 3.15 | 2.90 | 1.25 | 1.21 | 1.50 |
| 18:00 | 18 | ლესტერი-ბლეკპული | 1.60 | 3.40 | 4.25 | 1.08 | 1.16 | 1.88 |
| 18:00 | 19 | პრესტონი-ნორვიჩი | 1.95 | 3.20 | 3.40 | 1.21 | 1.23 | 1.64 |
| 18:00 | 20 | შეფილდი-კოლჩესტერი | 1.50 | 3.50 | 5.00 | 1.04 | 1.15 | 2.05 |
| 18:00 | 21 | საუთჰემპტონი-კრისტალ პალასი | 1.70 | 3.30 | 3.70 | 1.12 | 1.16 | 1.74 |
| 20:20 | 22 | ვულვერჰემპტონი-უოტფორდი | 2.00 | 3.15 | 3.20 | 1.22 | 1.23 | 1.58 |
| | | **ინგლისი. I ლიგა** | | | | | | |
| | | **11 აგვისტო** | | | | | | |
| 18:00 | 23 | ჩელტენემი-ჯილინგემი | 2.15 | 3.20 | 2.70 | 1.28 | 1.19 | 1.46 |
| 18:00 | 24 | ქროუ-ბრაიტონი | 2.05 | 3.10 | 3.10 | 1.23 | 1.23 | 1.54 |
| 18:00 | 25 | დონკასტერი-მილუოლი | 2.15 | 3.20 | 2.80 | 1.28 | 1.21 | 1.49 |
| 18:00 | 26 | ჰადერსფილდი-იოვილი | 2.15 | 3.00 | 2.90 | 1.25 | 1.23 | 1.47 |
| 18:00 | 27 | ლუტონი-ჰარტლპული | 1.80 | 3.20 | 3.65 | 1.15 | 1.20 | 1.70 |
| 18:00 | 28 | ნორთჰემპტონი-სუინდონი | 2.20 | 3.20 | 2.80 | 1.30 | 1.23 | 1.49 |
| 18:00 | 29 | ნოტინგემი-ბორნმუთი | 1.55 | 3.30 | 5.85 | 1.05 | 1.22 | 2.10 |
| 18:00 | 30 | ოლდემი-სუონსი | 2.20 | 3.20 | 2.80 | 1.30 | 1.23 | 1.49 |
| 18:00 | 31 | პორტ ვეილი-როვერსი | 2.00 | 3.20 | 3.10 | 1.23 | 1.21 | 1.57 |
| 18:00 | 32 | საუთენდი-ლეიტონი | 1.70 | 3.40 | 4.00 | 1.13 | 1.19 | 1.83 |
| 18:00 | 33 | ტრანმერი-ლიდსი | 2.30 | 3.25 | 2.50 | 1.34 | 1.19 | 1.41 |
| 18:00 | 34 | უოლსოლი-კარლაილი | 2.25 | 3.20 | 2.70 | 1.32 | 1.22 | 1.46 |
| | | **ინგლისი. II ლიგა** | | | | | | |
| | | **11 აგვისტო** | | | | | | |
| 18:00 | 35 | ბრედფორდი-მაკლსფილდი | 1.60 | 3.45 | 4.50 | 1.09 | 1.18 | 1.95 |
| 18:00 | 36 | ბრენტფორდი-მენსფილდი | 1.70 | 3.30 | 4.30 | 1.12 | 1.21 | 1.86 |
| 18:00 | 37 | ჩესტერი-ჩესტერფილდი | 2.40 | 3.20 | 2.50 | 1.37 | 1.22 | 1.40 |
| 18:00 | 38 | დარლინგტონი-რექსემი | 1.90 | 3.20 | 3.40 | 1.19 | 1.21 | 1.64 |
| 18:00 | 39 | გრიმსბი-ნოტსი | 2.10 | 3.10 | 2.70 | 1.25 | 1.18 | 1.44 |
| 18:00 | 40 | ჰერეფორდი-როტერჰემი | 2.30 | 3.20 | 2.60 | 1.33 | 1.22 | 1.43 |
| 18:00 | 41 | ლინკოლნი-შრიუსბერი | 2.00 | 3.20 | 3.00 | 1.23 | 1.20 | 1.54 |
| 18:00 | 42 | დონსი-ბერი | 1.55 | 3.40 | 4.80 | 1.06 | 1.17 | 1.99 |
| 18:00 | 43 | მორიკომბი-ბარნეტი | 2.10 | 3.20 | 2.75 | 1.26 | 1.19 | 1.47 |
| 18:00 | 44 | პიტერბრო-როჩდეილი | 1.65 | 3.30 | 4.50 | 1.10 | 1.20 | 1.90 |
| 18:00 | 45 | სტოკპორტი-დაგ ენდ რედი | 1.80 | 3.20 | 3.50 | 1.15 | 1.18 | 1.67 |
| 18:00 | 46 | უიკომბი-აკრინგტონი | 1.60 | 3.40 | 4.50 | 1.08 | 1.18 | 1.93 |
| | | **ინგლისი. კონფერენსი** | | | | | | |
| | | **11 აგვისტო** | | | | | | |
| 18:00 | 428 | ალტრინჰემი-ექსეტერი | 2.50 | 3.25 | 2.30 | 1.41 | 1.19 | 1.34 |
| 18:00 | 429 | ქროული-სტივენეიჯი | 2.60 | 3.20 | 2.05 | 1.43 | 1.14 | 1.24 |
| 18:00 | 430 | დროილსდენი-სალისბერი | 2.20 | 3.25 | 2.70 | 1.31 | 1.21 | 1.47 |
| 18:00 | 431 | ებსფლითი-ნორთვიჩი | 2.00 | 3.30 | 2.90 | 1.24 | 1.18 | 1.54 |
| 18:00 | 432 | ფარსლი-სტ.რეინჯერსი | 2.25 | 3.20 | 2.60 | 1.32 | 1.20 | 1.43 |
| 18:00 | 433 | ჰისტონი-ბარტონი | 2.25 | 3.20 | 2.65 | 1.32 | 1.21 | 1.44 |
| 18:00 | 434 | კიდერმინსტერი-ალდერშოტი | 2.10 | 3.20 | 2.80 | 1.26 | 1.20 | 1.49 |
| 18:00 | 435 | ოქსფორდი-ფორესტ გრინი | 1.50 | 3.50 | 5.00 | 1.04 | 1.15 | 2.05 |
| 18:00 | 436 | ტორკი-გრეისი | 1.60 | 3.30 | 4.30 | 1.07 | 1.16 | 1.86 |
| 18:00 | 437 | ვეიმუთი-ჰალიფაქსი | 2.00 | 3.20 | 3.00 | 1.23 | 1.20 | 1.54 |
| 18:00 | 438 | უოკინგი-რაშდენი | 2.30 | 3.20 | 2.60 | 1.33 | 1.22 | 1.43 |
| 18:00 | 439 | იორკი-კემბრიჯი | 1.85 | 3.20 | 3.40 | 1.17 | 1.19 | 1.64 |
| | | **შოტლანდია. პრემიერლიგა** | | | | | | |
| | | **11 აგვისტო** | | | | | | |
| 15:30 | 60 | ფოლკირკი-სელტიკი | 6.40 | 3.60 | 1.35 | 2.30 | 1.11 | 1.00 |
| 18:00 | 61 | ჰიბერნიანი-გრეტნა | 1.35 | 3.60 | 7.10 | 1.00 | 1.13 | 2.38 |
| 18:00 | 63 | მოზერუელი-ინვერნესი | 1.95 | 3.05 | 3.30 | 1.18 | 1.22 | 1.58 |
| 18:00 | 64 | რეინჯერსი-სტ.მირენი | 1.10 | 6.40 | 14.00 | 1.00 | 1.01 | 4.39 |
| | | **12 აგვისტო** | | | | | | |
| 17:00 | 59 | აბერდინი-ჰართსი | 2.30 | 3.05 | 2.60 | 1.31 | 1.22 | 1.40 |
| | | **13 აგვისტო** | | | | | | |
| 22:45 | 62 | კილმარნოკი-დანდი იუნ. | 1.95 | 3.10 | 3.20 | 1.19 | 1.21 | 1.57 |
| | | **შოტლანდია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **11 აგვისტო** | | | | | | |
| 18:00 | 65 | კლაიდი-ჰამილტონი | 2.20 | 3.40 | 2.45 | 1.33 | 1.15 | 1.42 |
| 18:00 | 66 | დანდი -ქუინი | 1.50 | 3.65 | 4.50 | 1.06 | 1.12 | 2.01 |
| 18:00 | 67 | დანფერმლაინი-მორტონი | 1.50 | 3.65 | 4.50 | 1.06 | 1.12 | 2.01 |
| 18:00 | 68 | პარტიკი-ლივინგსტონი | 1.90 | 3.40 | 3.00 | 1.21 | 1.16 | 1.59 |
| 18:00 | 69 | სტ.ჯონსტონი-სტირლინგი | 1.30 | 4.25 | 5.90 | 1.00 | 1.06 | 2.47 |
| | | **გერმანია. I ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **10 აგვისტო** | | | | | | |
| 22:30 | 80 | შტუტგარტი-შალკე | 2.15 | 3.15 | 2.90 | 1.27 | 1.23 | 1.50 |
| | | **11 აგვისტო** | | | | | | |
| 17:30 | 81 | ბაიერნი-ჰანზა | 1.15 | 5.50 | 12.00 | 1.00 | 1.04 | 3.77 |
| 17:30 | 82 | ბოხუმი-ვერდერი | 3.30 | 3.20 | 1.95 | 1.62 | 1.22 | 1.21 |
| 17:30 | 83 | აინტრახტი-ჰერტა | 2.20 | 3.20 | 2.70 | 1.30 | 1.21 | 1.46 |
| 17:30 | 84 | ჰანოვერი-ჰამბურგი | 2.40 | 3.15 | 2.50 | 1.36 | 1.22 | 1.39 |
| 17:30 | 85 | ლევერკუზენი-კოტბუსი | 1.50 | 3.50 | 5.20 | 1.04 | 1.16 | 2.09 |
| 17:30 | 86 | ვოლფსბურგი-არმინია | 1.75 | 3.25 | 3.70 | 1.13 | 1.18 | 1.73 |
| | | **12 აგვისტო** | | | | | | |
| 19:00 | 87 | დორტმუნდი-დუისბურგი | 1.50 | 3.50 | 5.20 | 1.04 | 1.16 | 2.09 |
| 19:00 | 88 | ნიურნბერგი-კარლსრუე | 1.65 | 3.20 | 4.00 | 1.08 | 1.16 | 1.77 |
| | | **გერმანია. II ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **10 აგვისტო** | | | | | | |
| 20:00 | 89 | ალემანია-კარლ ცაისი | 1.50 | 3.50 | 5.60 | 1.04 | 1.18 | 2.15 |
| 20:00 | 90 | ოსნაბრიუკი-ფრაიბურგი | 2.70 | 3.10 | 2.25 | 1.44 | 1.22 | 1.30 |
| 20:00 | 91 | ზტ.პაული-კიოლნი | 2.80 | 3.15 | 2.20 | 1.48 | 1.23 | 1.29 |
| | | **12 აგვისტო** | | | | | | |
| 16:00 | 92 | აუე-ფიურტი | 2.25 | 3.15 | 2.70 | 1.31 | 1.22 | 1.45 |
| 16:00 | 93 | აუგსბურგი-მიუნხენი 1860 | 2.20 | 3.15 | 2.80 | 1.29 | 1.23 | 1.48 |
| 16:00 | 94 | ჰოფენჰაიმი-ვეენი | 1.70 | 3.25 | 4.15 | 1.11 | 1.20 | 1.82 |
| 16:00 | 95 | მაინცი-კობლენცი | 1.60 | 3.35 | 4.60 | 1.08 | 1.18 | 1.93 |
| 16:00 | 96 | პადერბორნი-ოფენბახი | 1.65 | 3.25 | 4.40 | 1.09 | 1.20 | 1.86 |
| | | **13 აგვისტო** | | | | | | |
| 22:15 | 97 | ლაუტერნი-გლადბახი | 2.10 | 3.15 | 2.90 | 1.25 | 1.21 | 1.50 |
| | | **ავსტრია. ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **10 აგვისტო** | | | | | | |
| 22:30 | 124 | აუსტრია-ტიროლი | 1.30 | 3.75 | 7.40 | 1.00 | 1.10 | 2.48 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 11 აგვისტო | | | | | | |
| 21:30 | 125 | ავსტრია კ-მატერსბურგი | 2.50 | 3.15 | 2.35 | 1.39 | 1.21 | 1.34 |
| 21:30 | 126 | ზალცბურგი-რიდი | 1.20 | 4.40 | 8.90 | 1.00 | 1.05 | 2.94 |
| 21:30 | 127 | შტურმი-ალტახი | 1.45 | 3.50 | 5.40 | 1.02 | 1.14 | 2.12 |
| | | 12 აგვისტო | | | | | | |
| 19:00 | 128 | ლინცერი-რაპიდი | 2.65 | 3.15 | 2.20 | 1.43 | 1.20 | 1.29 |
| | | შვეიცარია. სუპერლიგა | | | | | | |
| | | 10 აგვისტო | | | | | | |
| 21:45 | 135 | ციურიხი-სტ.გალენი | 1.35 | 4.20 | 7.40 | 1.02 | 1.14 | 2.67 |
| | | 11 აგვისტო | | | | | | |
| 19:45 | 136 | ბაზელი-სიონი | 1.45 | 3.50 | 5.40 | 1.02 | 1.14 | 2.12 |
| 19:45 | 137 | ქსამაქსი-იანგ ბოიზი | 3.00 | 3.15 | 2.20 | 1.53 | 1.26 | 1.29 |
| | | 12 აგვისტო | | | | | | |
| 18:00 | 138 | ლუცერნი-გრასჰოპერი | 2.40 | 3.20 | 2.35 | 1.37 | 1.18 | 1.35 |
| 18:00 | 139 | თუნი-აარაუ | 2.00 | 3.10 | 3.10 | 1.21 | 1.21 | 1.54 |
| | | საფრანგეთი. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 11 აგვისტო | | | | | | |
| 19:10 | 149 | ტულუზი-ლიონი | 4.30 | 3.00 | 1.75 | 1.76 | 1.24 | 1.10 |
| 22:00 | 150 | ოსერი-ბორდო | 2.30 | 2.70 | 3.00 | 1.24 | 1.30 | 1.42 |
| 22:00 | 151 | ლორიანი-მონაკო | 2.30 | 2.70 | 3.00 | 1.24 | 1.30 | 1.42 |
| 22:00 | 152 | მარსელი-რენი | 1.55 | 3.30 | 5.20 | 1.05 | 1.19 | 2.01 |
| 22:00 | 153 | ნანსი-კაენი | 1.80 | 3.00 | 4.00 | 1.12 | 1.24 | 1.71 |
| 22:00 | 154 | ნიცა-სტრასბური | 2.00 | 2.70 | 3.75 | 1.14 | 1.30 | 1.56 |
| 22:00 | 155 | სოშო-ლე მანი | 1.80 | 3.00 | 4.00 | 1.12 | 1.24 | 1.71 |
| 22:00 | 156 | სტ.ეტიენი-ვალენსიენი | 1.70 | 3.10 | 4.40 | 1.09 | 1.22 | 1.81 |
| | | 12 აგვისტო | | | | | | |
| 20:00 | 157 | მეცი-ლილი | 2.45 | 2.70 | 2.80 | 1.28 | 1.30 | 1.37 |
| 23:00 | 158 | ლანსი-პსჟ | 2.20 | 2.75 | 3.20 | 1.22 | 1.30 | 1.47 |
| | | საფრანგეთი. II დივიზიონი | | | | | | |
| | | 10 აგვისტო | | | | | | |
| 22:00 | 160 | აიაჩო-გენგამი | 2.05 | 2.65 | 3.50 | 1.15 | 1.29 | 1.50 |
| 22:30 | 161 | ბულონი-მონპელიე | 2.75 | 2.65 | 2.45 | 1.34 | 1.29 | 1.27 |
| 22:00 | 163 | დიჟონი-ამიენი | 2.35 | 2.70 | 2.85 | 1.25 | 1.28 | 1.38 |
| 22:00 | 164 | გრენობლი-რეიმსი | 1.70 | 2.80 | 4.70 | 1.05 | 1.24 | 1.75 |
| 22:00 | 165 | გენიონი-შატორუ | 2.20 | 2.65 | 3.15 | 1.20 | 1.29 | 1.43 |
| 22:00 | 166 | ლიბურნი-ლე ავრი | 2.80 | 2.65 | 2.40 | 1.36 | 1.29 | 1.25 |
| 22:30 | 167 | ნანტი-კლერმონი | 1.30 | 3.50 | 8.50 | 1.00 | 1.12 | 2.47 |
| 22:00 | 168 | ნიორი-სედანი | 2.85 | 2.70 | 2.35 | 1.38 | 1.28 | 1.25 |
| 22:00 | 169 | ტრუა-ანჟე | 1.50 | 3.10 | 5.80 | 1.01 | 1.19 | 2.02 |
| | | 13 აგვისტო | | | | | | |
| 22:30 | 162 | ბრესტი-ბასტია | 2.35 | 2.75 | 2.80 | 1.26 | 1.27 | 1.38 |
| | | ბელგია. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 10 აგვისტო | | | | | | |
| 22:30 | 178 | ვესტერლო-შარლერუა | 2.20 | 3.20 | 2.70 | 1.30 | 1.21 | 1.46 |
| | | 11 აგვისტო | | | | | | |
| 22:00 | 170 | ანდერლეხტი-ლოკერენი | 1.25 | 4.40 | 8.80 | 1.00 | 1.09 | 2.93 |
| 22:00 | 171 | სერკლი-ვარეგემი | 2.10 | 3.20 | 2.80 | 1.26 | 1.20 | 1.49 |
| 20:00 | 172 | გენტი-გენკი | 2.30 | 3.20 | 2.55 | 1.33 | 1.20 | 1.41 |
| 22:00 | 174 | მონსი-მეხელენი | 1.65 | 3.30 | 4.20 | 1.10 | 1.18 | 1.84 |
| 22:00 | 175 | რუზელარე-დენდერი | 1.65 | 3.30 | 4.20 | 1.10 | 1.18 | 1.84 |
| 22:00 | 176 | სტ.ტრუიდენი-მუსკრონი | 2.00 | 3.20 | 3.00 | 1.23 | 1.20 | 1.54 |
| 22:00 | 177 | სტანდარდი-ბრიუსელი | 1.25 | 4.10 | 6.60 | 1.00 | 1.05 | 2.52 |
| | | 12 აგვისტო | | | | | | |
| 20:00 | 173 | ბეერსხოტი-ბრიუგე | 2.75 | 3.20 | 2.15 | 1.47 | 1.20 | 1.28 |
| | | ჩეხეთი | | | | | | |
| | | 11 აგვისტო | | | | | | |
| 21:00 | 215 | ბანიკი-მოსტი | 1.35 | 3.90 | 7.40 | 1.00 | 1.14 | 2.55 |
| 21:00 | 217 | სიგმა-ბოლესლავი | 2.40 | 2.90 | 2.70 | 1.31 | 1.27 | 1.39 |
| 21:00 | 221 | ზლინი-ბუდეიოვიცე | 1.90 | 3.05 | 3.65 | 1.17 | 1.24 | 1.66 |
| | | 12 აგვისტო | | | | | | |
| 19:00 | 216 | პლზენი-სპარტა | 4.40 | 3.30 | 1.65 | 1.88 | 1.20 | 1.10 |
| 19:00 | 218 | სლავია-კლადნო | 1.25 | 4.60 | 8.50 | 1.00 | 1.08 | 2.98 |
| 22:15 | 219 | ტეპლიცე-იაბლონეცი | 1.80 | 3.20 | 3.70 | 1.15 | 1.21 | 1.71 |
| 12:15 | 220 | ზნოიმო-ბრნო | 2.20 | 2.90 | 3.05 | 1.25 | 1.27 | 1.48 |
| | | 13 აგვისტო | | | | | | |
| 19:15 | 214 | ლიბერეცი-ბოჰემიანსი 1905 | 1.35 | 3.90 | 7.40 | 1.00 | 1.14 | 2.55 |
| | | დანია. სუპერლიგა | | | | | | |
| | | 11 აგვისტო | | | | | | |
| 19:00 | 236 | კოპენჰაგენი-ესბიერგი | 1.40 | 3.70 | 5.90 | 1.01 | 1.13 | 2.27 |
| | | 12 აგვისტო | | | | | | |
| 18:00 | 238 | ლიუნგბიუ-ჰორსენსი | 2.30 | 3.30 | 2.60 | 1.35 | 1.22 | 1.45 |
| 18:00 | 239 | რანდერსი-ოდენსე | 2.70 | 3.25 | 2.20 | 1.47 | 1.21 | 1.31 |
| 20:00 | 240 | ოლბორგი-ორჰუსი | 1.60 | 3.30 | 4.40 | 1.07 | 1.17 | 1.88 |
| | | 13 აგვისტო | | | | | | |
| 21:00 | 241 | ვიბორგი-ბრიონდბიუ | 3.40 | 3.25 | 1.90 | 1.66 | 1.21 | 1.19 |
| | | ნორვეგია. ტიპელიგა | | | | | | |
| | | 11 აგვისტო | | | | | | |
| 21:00 | 251 | ბრანი-რუსენბორგი | 2.30 | 3.20 | 2.50 | 1.33 | 1.19 | 1.40 |
| | | 12 აგვისტო | | | | | | |
| 20:00 | 252 | ალესუნდი-ოდ გრენლანდი | 2.05 | 3.20 | 2.90 | 1.24 | 1.20 | 1.52 |
| 20:00 | 253 | სტრიომსგოდსეტი-ვოლერენგა | 2.40 | 3.20 | 2.40 | 1.37 | 1.20 | 1.37 |
| 20:00 | 254 | ტრომსიო-სანდეფიორდი | 1.65 | 3.30 | 4.15 | 1.10 | 1.18 | 1.83 |
| 20:00 | 255 | ვიკინგი-ფრედრიკსტადი | 1.60 | 3.30 | 4.40 | 1.07 | 1.17 | 1.88 |
| 22:00 | 256 | ლინი-ლილესტრიომი | 2.40 | 3.15 | 2.40 | 1.36 | 1.20 | 1.36 |
| | | შვედეთი. სუპერეტა | | | | | | |
| | | 9 აგვისტო | | | | | | |
| 21:00 | 277 | ფალკენბერგი-ჰეკენი | 2.65 | 3.15 | 2.15 | 1.43 | 1.18 | 1.27 |
| 21:00 | 278 | იონკოპინგი-დეგერფორსი | 1.90 | 3.25 | 3.15 | 1.19 | 1.18 | 1.59 |
| 21:00 | 279 | ლანდსკრონა-სილვია | 1.65 | 3.30 | 3.95 | 1.10 | 1.16 | 1.79 |
| 21:00 | 280 | ნორჩიოპინგი-მიალბი | 1.45 | 3.60 | 5.30 | 1.03 | 1.13 | 2.14 |
| 21:00 | 281 | იორგრიტე-ლიუნგსკილე | 1.80 | 3.20 | 3.40 | 1.15 | 1.17 | 1.64 |
| 21:00 | 282 | იოსტერსი-ბანკეფლო | 1.80 | 3.20 | 3.40 | 1.15 | 1.17 | 1.64 |
| 21:00 | 283 | სირიუსი-ატვიდაბერგი | 2.15 | 3.20 | 2.65 | 1.28 | 1.18 | 1.44 |
| 21:00 | 284 | სუნდსვალი-ენჩიოპინგი | 1.40 | 3.70 | 5.40 | 1.01 | 1.11 | 2.19 |
| | | ფინეთი | | | | | | |
| | | 9 აგვისტო | | | | | | |
| 19:30 | 296 | ჰონკა-ვიკინგიტი | 1.40 | 3.75 | 6.40 | 1.01 | 1.14 | 2.36 |
| 19:30 | 297 | იარო-ჰიკ | 4.10 | 3.30 | 1.70 | 1.82 | 1.20 | 1.12 |
| 19:30 | 298 | მიუპა-ჰაკა | 2.30 | 3.15 | 2.60 | 1.32 | 1.22 | 1.42 |
| | | ისლანდია | | | | | | |
| | | 9 აგვისტო | | | | | | |
| 23:15 | 305 | ფრამი-აკრანესი | 2.90 | 3.20 | 2.15 | 1.52 | 1.23 | 1.28 |
| 23:15 | 306 | ფილკირი-ვიკინგური | 2.00 | 3.10 | 3.30 | 1.21 | 1.24 | 1.59 |
| 23:15 | 308 | კეფლავიკი-ბრეიდაბლიკი | 1.75 | 3.30 | 3.90 | 1.14 | 1.20 | 1.78 |
| | | ირლანდია | | | | | | |
| | | 10 აგვისტო | | | | | | |
| 22:45 | 309 | ბოჰემიანი-კორკი | 2.35 | 3.10 | 2.65 | 1.33 | 1.24 | 1.42 |
| 22:45 | 310 | დერი-ლონგფორდი | 1.55 | 3.40 | 5.40 | 1.06 | 1.20 | 2.08 |
| 22:45 | 311 | დროგედა-სტ.პატრიკსი | 1.75 | 3.15 | 4.00 | 1.12 | 1.21 | 1.76 |
| 22:45 | 312 | დუბლინი-გალვეი | 1.95 | 3.00 | 3.50 | 1.18 | 1.25 | 1.61 |
| 22:45 | 313 | უოტერფორდი-შემროკი | 3.10 | 3.05 | 2.10 | 1.53 | 1.25 | 1.24 |
| | | 11 აგვისტო | | | | | | |
| 22:45 | 314 | სლიგო-ბრეი | 1.70 | 3.30 | 4.15 | 1.12 | 1.20 | 1.83 |
| | | აშშ | | | | | | |
| | | 9 აგვისტო | | | | | | |
| 23:45 | 324 | ვაშინგტონი-ლოს ანჯელესი | 1.70 | 3.20 | 3.85 | 1.11 | 1.17 | 1.74 |
| | | 11 აგვისტო | | | | | | |
| 23:45 | 325 | ნიუ იორკი-ტორონტო | 1.55 | 3.20 | 4.60 | 1.04 | 1.15 | 1.88 |
| 23:45 | 326 | დალასი-კოლამბუსი | 1.65 | 3.15 | 4.15 | 1.08 | 1.18 | 1.79 |
| 23:45 | 327 | კოლორადო-ჰიუსტონი | 2.85 | 3.15 | 2.05 | 1.49 | 1.19 | 1.24 |
| | | 12 აგვისტო | | | | | | |
| 23:45 | 328 | ნიუ ინგლენდი-ლოს ანჯელესი | 1.55 | 3.20 | 4.60 | 1.04 | 1.15 | 1.88 |
| | | ბრაზილია | | | | | | |
| | | 9 აგვისტო | | | | | | |
| 23:45 | 354 | ვასკუ და გამა-კორინთიანსი | 1.60 | 3.35 | 4.40 | 1.08 | 1.17 | 1.90 |
| 23:45 | 355 | გრემიო-ამერიკა | 1.20 | 4.90 | 9.00 | 1.00 | 1.05 | 3.17 |
| 23:45 | 356 | პალმეირასი-ინტერნასიონალი | 1.90 | 3.15 | 3.55 | 1.18 | 1.23 | 1.66 |
| 23:45 | 357 | სანტოსი-პარანა | 1.60 | 3.35 | 4.60 | 1.08 | 1.18 | 1.93 |
| | | ჰოლანდია. თასი | | | | | | |
| | | 11 აგვისტო | | | | | | |
| 22:00 | 408 | აიაქსი-პსვ | 2.00 | 3.15 | 3.10 | 1.22 | 1.21 | 1.56 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გამორჩეული თაობა გუნდური სულით

**ქართველი ძიუდოისტების წარმატებებზე ბევრი დაგვიწერია და მომავალშიც დავწერთ. სეზონის მთავარი ტურნირი, მსოფლიოს ჩემპიონატი სექტემბერში უნდა გაიმართოს და ახლა სასაუბრო თემაც სწორედ ისაა, თუმცა სანამ ჩვენი ნაკრები მოსამზადებელ ეტაპს გადის, გამარჯვებით ახალგაზრდულმა გუნდმა გაგვახარა. გასულ უქმეებზე ჩეხეთის ქალაქ ჟიჩინში უმაღლესი კატეგორიის საერთაშორისო ტურნირზე ჩვენმა 20-წლამდელებმა ორი ოქროს, ერთი ვერცხლისა და ოთხი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს და რაც ყველაზე საინტერესოა, ყველა წონით კატეგორიაში მოახერხეს სამეულში შესვლა. ახალგაზრდებს ოქტომბერში ევროპის ჩემპიონატი ელით და ჩეხური პირველობაც მისთვის მოსამზადებელ ეტაპად გამოიყენეს. ჩავლილ ტურნირსა და წინასაევროპო გეგმებზე ნაკრების მთავარი მწვრთნელი ბორის ფირცხელიანი მოგვითხრობს**



ბორის ფირცხელიანი (მარცხნიდან მეორე) და მისი გუნდი

## ქართული წერტილი

ჟიჩინის საერთაშორისო ტურნირი ტრადიციული იყო და სერიოზული შემადგენლობა ყოველთვის გადიოდა ტატამზე, თუმცა ჯერ კიდევ წლევანდელი პირველობის დაწყებამდე ყველამ იცოდა, რომ ეს ტურნირი ბოლო იქნებოდა. მიზეზი ბანალურია —. ორგანიზატორები საქმეს თავს აშკარად ვერ ართმევდნენ, სტუმრებს ნორმალურ პირობებს ვერ უქმნიდნენ და უკმაყოფილების ტალღა ბოლოს ევროპის ფედერაციამდეც მივიდა. ევროპული ძიუდოს შეფებმა წერტილი დასვეს, მაგრამ აქედანვე გამოაცხადეს, ჟიჩინის ადგილის ჩეხეთის სხვა ქალაქი დაიჭერსო. შესაძლოა, ეს პრაღა იყოს.

ტურნირზე 23 ქვეყნის ნაკრები მოგროვდა. უმეტესობამ გაფართოებული შემადგენლობა ჩამოიყვანა. ზოგიერთს თითო წონაში ხუთიქვსი კაციც კი ჰყავდა. ჩვენი გუნდი კი სულ ცხრაკაციანი იყო, მაგრამ გუნდური პირველი ადგილს დასაკავებლად ესეც საკმარისი აღმოჩნდა.

სიმართლე გითხრათ, არ ველოდი, ასეთი ძლიერი შემადგენლბა თუ შეიკრიბებოდა.

როცა გუნდი შვიდ მედალს იღებს, ცოტა უხერხულიცაა მწვრთნელი კმაყოფილი არ იყოს და დაკარგულზე ან უსამართლობაზე წუწუნებდეს. მიუხედავად იმისა, რომ ბიჭებს მეტიც შეეძლოთ და მსაჯობაც აშკარად არაობიექტური იყო, მაინც ბედნიერი ვარ და თითოეულ მათგანს დიდი მადლობა თავდადებისთვის. მათ ხომ არა თუ ჩვენ, ტურნირის ყველა სტუმარი ალაფრთოვანეს. უნდა გენახათ, სხვა ნაკრებების თავკაცთა გაოცება, როცა გაიგებდნენ, რომ ეს გუნდი წლეულს პირველ საერთაშორისო ტურნირს ჭიდაობდა.

## პროფესიული შეფასება

ამირან პაპინაშვილი (60 კგ) გუნდში შედარებით გამოცდილი იყო და მისგან ჩემპიონობას მართლაც ველოდით. ერთადერთი, რაც მაფიქრებდა, ტურნირამდე ერთი კვირით ადრე ბაკურიანულ შეკრებაზე მიღებული მხრის ტრავმა იყო. ჭიდაობაში ხელს დიდად არ შეუშლიდა, მაგრამ გამიზეზების რისკი კი არსებობდა. საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად დასრულდა, რაც მისი ჭკვიანური და ბრწყინვალე ჭიდაობის დამსახურებაა.

სანდრო იაკობაშვილზე (66 კგ) უკეთესი სინჯის მედალს ვგეგმავდი. დარწმუნებული ვარ, იმედს ისიც გამიმართლებდა, რომ არა ერთი პრობლემა. თუ აქამდე სანდროს ზედმეტი წონა არასოდეს აწუხებდა, ბაკურიანში ისე მოიმატა, გაკონტროლებაც ვერ მოასწრო და ჟიჩინის ტატამზე გასვლის წინა დღეს დასაშვებზე 2 კილოთი მძიმე იყო. მძიმე წონებში რომ გამოდიოდეს, ადვილად დაიკლებდა, მაგრამ 66 კილოგრამის მოჭიდავისთვის ეს ძალიან ძნელია. ამის გათვალისწინებით, იაკობაშვილის ჭიდაობითაც კმაყოფილი დავრჩი.

ზვიად ბაზანდარაშვილმა (73 კგ) მხოლოდ ფინალი წააგო. მის მიერ მოპოვებული ვერცხლი ალბათ მაინც ყველაზე დიდი სიურპრიზი იყო. ზვიადის შესაძლებლობებს მშვენივრად ვიცნობ. ქართული სტილის მოჭიდავეა და თქვენ წარმოიდგინეთ, მძიმე წონებშიც კი აქვს ფალავნობა მოგებული. მაგრამ საერთაშორისო ტურნირზე აქამდე ერთხელაც არ გასულიყო და ვნერვიულობდი, როგორ აუღებდა ალღოს. გაოცებული მეუბნებოდა, ამათ სულ სხვანაირი სტილი ჰქონიათო. ტურნირი ისე ჩამთავრდა, მეტოქეებმა ერთი კოკაც ვერ გაუკეთეს. ფინალი გაფრთხილებით წააგო, ისევ და ისევ გამოუცდელობის გამო. ცნობისთვის, ქულის დაუკარგავად გახდა ჩემპიონი პაპინაშვილიც

81 კილოგრამში ორი კაცი გვყავდა. ნიკო კუციამ ისე მოიპოვა ოქროს მედალი, მხოლოდ ერთი გაფრთხილება მიიღო. ამ ბიჭის გამოსვლით განსაკუთრებით კმაყოფილი ვარ. ჩემპიონი ისე გახდა, ერთი უმნიშვნელო შეცდომაც არ დაუშვია. საოცრად ჭკვიანურად იჭიდავა. ნიკო სამბისტი იყო და სულ ორი წელია, რაც ძიუდოზე გადმოერთო. როგორც ხედავთ, ადაპტაცია არ გაუჭირდა.

ამავე წონაში ოთარ ტვილდიანმაც იჭიდავა და უმედლოდ დარჩა, მაგრამ მასზე უფრო სამომავლოდ ვამყარებ იმედს, რადგან კუცია ამ ევროპირველობის შემდეგ ახალგაზრდულ ასაკს გადასცდება. ოთარმა კურიოზულ სიტუაციაში მიღებული გაფრთხილებით წააგო.

უცხოელთა ყველაზე დიდი აღფრთოვანება ვალერი ლიპარტელიანის (90 კგ) ჭიდაობამ გამოიწვია. საწყისი ორი შეხვედრა ისეთი იპონებით მოიგო, ყველა სახტად დატოვა. უბრწყინვალესი ტექნიკის პატრონია, მაგრამ ამავდროულად ძალიან თამამი. ჰოდა, სწორედ ამ სითამამემ დაღუპა — იტალიელი მეტოქე სათანადოდ ვერ შეაფასა და ილეთი გამოეპარა. ეჭვიც არ მეპარება, რომ ის იტალიელი ვალერისთვის პრობლემა არც ერთ მომავალ ტურნირზე აღარ იქნება. ერთადერთი, რაზეც ლიპარტელიანთან უნდა ვიმუშავოთ, ტაქტიკაა.

კონსტანტინე მუკვანმა (100 კგ) ნახევარფინალში მომავალ ჩემპიონთან წააგო და რეპეშაჟის ფინალში გადაერთო. იქ კი წმინდად მოიგო. მისი ჭიდაობითაც კმაყოფილი დავრჩი.

ჩემთვის დიდი მოულოდნელობა, იყო მძიმე წონის მონაწილეებში სიაში ფრანგი ტედი რინერის გვარის ამოკითხვა. ამ 18 წლის 207-სანტიმეტრიანმა გოლიათმა შარშან ახალგაზრდებში ევროპის ჩემპიონატიც მოიგო და მსოფლიოსიც, თუმცა მთავარი მიღწევა უფროსებში ევროპის ჩემპიონობა იყო. თუ გახსოვთ, ფინალში ლაშა გუჯეჯიანს სძლია. ჩეხეთში კი ქართულ-ფრანგული გზა ნახევარფინალში გადაიკვეთა. მართალია, ლევან მუქერიას ილეთი არ გაუშვია, მაგრამ გაფრთხილებების გამო მოხსნეს. მესამე ადგილისთვის კი ლევანმა მართლა კბილებით იბრძოლა და 140-კილოგრამიან მეტოქეს აჯობა. მძიმე წონაში გოდერძი მოსიაშვილიც გავიდა ტატამზე, მაგრამ თავიდანვე წააგო.

## გუნდური სული

დიდი ხანია, ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელი ვარ და მგონი, ჯერ არ ყოფილა, რომ ჩემს ხელში გამოვლილი გუნდიდან 2-3 ძიუდოისტი უმალ ძირითად ნაკრებში არ ჩამჯდარიყოს. ბევრი ნიჭიერი სპორტსმენი გვყოლია ახალგაზრდულ გუნდში, მაგრამ ეს თაობა მართლა გამორჩეულია. ნიჭს და პოტენციას რომ თავი დავანებოთ, ესენი ერთი რამითაც არიან განსაკუთრებულნი და ეს უმნიშვნელოვანესი პლუსია — მთელი გუნდი ერთი სპორტსმენის ცხოვრებით ცხოვრობს. როცა ვინმე ტატამზეა, ყველა მის გვერდით დგას და ამხნევებს. ეს გუნდურობა ძალიან ბევრს ნიშნავს. პირველი დღის შეხვედრებისას მეორე დღის ხალხმა არანაკლები ენერგია დახარჯა, ვიდრე უშუალოდ ტატამზე მყოფებმა. გარედან ამხნევებდნენ ერთმანეთს. ეს ბიჭები თავიანთ სათქმელს მომავალი ოლიმპიური ციკლიდან იტყვიან. იქამდე კი ახალგაზრდულ პირველობაზე გამოვლენ. ლამის ნახევარ გუნდს ასაკი მომავალ წელსაც მისცემს ამის საშუალებას.

## პრობლემა

ევროპის ჩემპიონატისთვის მოსამზადებელ გეგმაში მეტი ტურნირი აღარ გვაქვს. არადა, ეს ჰაერივით გვჭირდება. თუნდაც ისევ ბაზანდარაშვილის მაგალითს მოვიყვან. ამ ბიჭმა რუსების, უკრაინელებისა და სხვა პოსტსაბჭოური ქვეყნების ძიუდოისტთა სტილზე ჯერაც არაფერი იცის. არადა, მათთანაც რომ ნაჭიდავები ჰქონდეს, ევროშანსი ერთიორად გაიზრდებოდა. იმავეს თქმა შეიძლება ნაკრების სხვა წევრებზეც. ამიტომ ყველანაირად ვეცდებით, ერთი ევრორეპეტიციაც მოვიწყოთ. ჩვენმა ფედერაციამ რაც გაგვიკეთა, ესეც დიდი ფუფუნებაა, წინა წლების სამზადისს თუ გავიხსენებთ. ცოტა უხერხულია კიდევ მეტის მოთხოვნა, ამიტომ ვეცდებით, საკუთარი ძალებით შევძლოთ 25-26 აგვისტოს თურქეთის საერთაშორისო ტურნირზე გამგზავრება. იქ ხომ, ძირითადად, ის ნაკრებები ჩავლენ, ჩეხეთში რომ არ ყოფილან.

## ევროპროგნოზი

ევროპის ჩემპიონატი 5-7 ოქტომბერს პრაღაში გაიმართება. ძნელი სათქმელია, რა შედეგი დამაკმაყოფილებს ან რას ველი. მოდით, მოკრძალებულად გეტყვით, პრაღაში საქართველოს ჰიმნი უნდა ავაჟღეროთ. ეს მინიმუმ. მაქსიმუმზე საუბარი კი ახლა არ გვინდა. შარშანდელ ევროპაზე ერთი ოქრო და ერთი ბრინჯაო მოვიპოვეთ. ახლა უკეთესი შედეგის მიღწევა სავსებით რეალურია და იმედია, ხელს ვერც ის ფაქტორი შეგვიშლის, რომ 2006 წლის ჩემპიონატის მედალოსნების ოთხმოცი პროცენტი წლეულსაც გავა ტატამზე.

**ოთარ გაღლაძელიძე**



ამირან პაპინაშვილი



ნიკო კუცია

# მიურეის დაბრუნება



ეროვნული ბიბლიოთეკა

**კაცები**
მონრეალი. კანადა.
მასტერსის სერია. ჰარდი.
საპრიზო 2 450 000 $

**პირველი წრე**

**ჯეიმს ბლეიკი** (9, აშშ) — იურგენ მელცერი (ავსტრია) 7:5 7:6; **ტომი ჰაასი** (12, გერმანია) — აგუსტინ კალერი (არგენტინა) 6:3 7:6; **ენდი მიურეი** (13, ბრიტანეთი) — რობი ჯინეპრი (აშშ) 6:4 6:4; **ივო კარლოვიჩი** (ხორვატია) — მაქს მირნი (ბელარუსი) 4:6 6:3 7:6; **მარკოს ბაღდატისი** (კვიპროსი) — კარლოს მოია (ესპანეთი) 7:6 6:1; **ფერნანდო ვერდასკო** (ესპანეთი) — ხუან იგნასიო ჩელა (არგენტინა 3:6 6:1 6:3; **მარატ საფინი** (რუსეთი) — რობინ სოდერლინგი (შვედეთი) 1:2 (უარი); **იარკო ნიემინენი** (ფინეთი) — ჟულიენ ბენეტო (საფრანგეთი) 6:3 6:4; **მარიო ანჩიჩი** (ხორვატია) — ფრედერიკ ნიემაიერი (კანადა) 6:4 6:2

**მეორე წრე**

**ნოვაკ ჯოკოვიჩი** (3, სერბეთი — ნიკოლას კიფერი (გერმანია) 6:3 6:3; **რადეკ შტეფანეკი** (ჩეხეთი) — ფერნანდო გონსალესი (6, ჩილე) 6:7 7:6 6:4

დღის მთავარი ამბავი ენდი მიურეის დაბრუნება იყო. 20 წლის უნიჭიერეს ბრიტანელს გაზაფხულზე მიღებული ტრავმის გამო მთელი სათიხნარო და საბალახო სეზონები გაუცდა თავისი „როლან გაროსითა" და უიმბლდონით და ახლაღა გამოჩნდა კორტებზე.

ჯეელი შოტლანდიელისთვის განსაკუთრებით სამწუხარო უიმბლდონის გაცდენა იყო, სადაც ის წარმატებულ თამაშს გეგმავდა. და აი, რამდენიმეთვიანი უქმობის შემდეგ ბრიტანელი ისევ საქმეშია და მონრეალური მარტერსის პირველ წრეში მან ყოველგვარი გართულებების გარეშე აჯობა კრიზისში მყოფ ამერიკელ რობი ჯინეპრის.

მეორე წრეში მიურეი კვალიფიკაციიდან წამოსულ იტალიელ ფაბიო ფოჯინის ხვდება და მესამეში კი ენდი თვით როჯერ ფედერერზე გადის და, თუ რა ფორმაშია სქოთი, სწორედ მსოფლიოს პირველ ჩოგანთან დაპირისპირებისას გამოჩნდება.

მთლიანობაში, პირველი სათამაშო დღისგან განსხვავებით, მეორემ გაცილებით მშვიდად ჩაიარა თუ მე-6 ნომრად განთესილი ფერნანდო გონსალესის მარცხს და მის მიერ გაბრაზებულ გულზე დალეწილ ჩოგნებს არ ჩავთვლით.

კაცმა რომ სიმართლე თქვას, ჩილელის მარცხი დიდი მოულოდნელობა არც ყოფილა, რადგან მას მშვენიერ ფორმაში მყოფმა ჩეხმა რადეკ შტეფანეკმა აჯობა დაძაბულ სამსეტიან მატჩში.

შტეფანეკი უკვე მესამე წრეშია, ისევე, როგორც მესამე ნომრად განთესილი ნოვაკ ჯოკოვიჩი. სეზონის ერთ-ერთმა გმირმა საგაზაფხულო ჰარდის სეზონი ხომ ბრწყინვალედ ჩაატარა, თავი არც თიხასა და ბალახზე შეურცხვენია და საზაფხულო მაგარსაფარობაც რიხიანად დაიწყო — გერმანელი ვეტერანი ნიკოლას კიფერი იოლად დააჩოქა.

პირველი წრის მატჩებიდან ყველაზე დაძაბული ორი ყუმბარმტყორცნის — ივო კარლოვიჩისა და მაქსიმ მირნის ბრძოლა გამოდგა. ბელარუსმა „ურჩხულმა" 208-სანტიმეტრიან ხორვატს პირველი სეტი კი მოუგო, მაგრამ მეორეში ივომ აღადგინა თანაფარდობა და მესამეში კი ტაიბრეიკზე დააშამათა მეტოქე.

საინტერესო გამოდგა მარკოს ბაღდატისისა და კარლოს მოიას ჯახიც. პირველი სეტის ტაიბრეიკზე მოია 6:2-ს იგებდა, ანუ ოთხმაგი სეტპოინტი ჰქონდა, მაგრამ მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა ოთხივე გაანიავა, რითაც კვიპროსელმა მშვენივრად ისარგებლა — ჯერ სეტი მოიგო, შემდეგ კი ნირწამხდარი ესპანელი, უკვე მარტივად დააშამათა.

**ქალები**
კერსონი. აშშ. ჰარდი
საპრიზო 600 000 $

**პირველი წრე**

**ელენა დემენტიევა** (9, რუსეთი) — ეკატერინა მაკაროვა (რუსეთი) 6:3 6:1; **შაჰარ პეერი** (10, ისრაელი) — დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკეთი) 6:2 6:3; **კატარინა სრებოტნიკი** (15 სლოვენია) — ბეტანი მატეკი (აშშ) 6:4 7:5; **ვიქტორია აზარენკა** (ბელარუსი) — ალბერტა ბრიანტი (იტალია) 6:3 6:3; **ლინდი ოსტერლო** (აშშ) — ალისია მოლიკი (ავსტრალია) 6:2 6:4; **შუაი პენგი** (ჩინეთი) — იაროსლავა შვედოვა (რუსეთი) 6:3 6:4; **მარა სანტანჯელო** (იტალია) — ანასტასია როდიონოვა (რუსეთი) 6:1 7:6; **აი სუგიამა** (იაპონია) — კამილ პინი (საფრანგეთი) 5:7 6:3 6:3; **ელენი დანილიდუ** (საბერძნეთი) — არავან რეზაი (საფრანგეთი) 3:6 6:2 6:1

**მეორე წრე**

**მარია კირილენკო** (რუსეთი) — მარიონ ბარტოლი (6, საფრანგეთი) 7:6 6:3; **სანია მირზა** (ინდოეთი) — მარტინა ჰინგისი (7, შვეიცარია) 6:2 2:6 6:4; **კატერინა ბონდარენკო** (უკრაინა) — დინარა საფინა (8, რუსეთი) 6:2 7:5; **გიზელა დულკო** (არგენტინა) — ტამარინ ტანასუგარნი (ტაილანდი) 6:1 6:3; **მიქაელა კრაიჩეკი** (ჰოლანდია) — იულიანა ფედაკი (უკრაინა) 6:4 6:3

კალიფორნიაში მიმდინარე შეჯიბრს ერთბაშად სამი განთესილი გამოაკლდა, თუმცა იმის თქმა, დიდა, ეს რა მოხდაო, ალბათ არ ეგების.

თანმიმდევრობით მივყვეთ. წლევანდელი უიმბლდონის სენსაციური ფინალისტი მარიონ ბარტოლი აშკარად ველარ არის ჯანზე. ეტყობა, უიმბლდონურ წარმატებას კარგახანს და საფუძვლიანად აღნიშნავდა და შედეგიც სახეზეა — ბარტოლი, როგორც წესი, უიმბლდონის შემდეგ საწყის ეტაპებზე მარცხდება ხოლმე და ამჯერადაც ასე მოხდა. თანაც მარია კირილენკოც არ გახლავთ ხელწამოსაკრავი მეჩოგნე — წინა კვირაში მან თვით ელენა იანკოვიჩიც კი დაამარცხა.

ველარც მარტინა ჰინგისი ბრწყინავს ძველებური ელვარებით. ელეგანტური შვეიცარიელის თამაშს ძალაც მოაკლდა და ხიბლიც და ეს ინდოელი სანია მირზაც საკმაოდ სწრაფად პროგრესირებს. შეიძლება ითქვას, რომ დღევანდელი დღისთვის ჰინგისი აღარაა ტოპ-მეჩოგნე, ხოლო მირზა კიდევ ბევრს გაამწარებს.

ყველაზე მეტად მოულოდნელი, მაინც მარატ საფინის ჯანიანი დის, დინარას წაგება იყო, თუმც ისიც სათქმელია, რომ უკრაინელი დები — ალიონა და კატერინა ბონდარენკოები სულ უფრო და უფრო უმატებენ, აღარავის ეპუებიან და აგერ, კატია უკვე მესამე წრეშია და, სავარაუდოდ, უფრო წინაც წავა — მისი შემდეგი მეტოქე ბელარუს აზარენკასა და ამერიკელ შონესის შორის იმალება და კატიამ, წესით, ერთსაც უნდა მოუგოს და მეორესაც.

**ქახა ლოთქუშვილი**



# მაკების ბანაკში კრიზისი მწვავდება

**გასულ** შაბათს უნგრეთის საპირველფორმულო რბოლისწინა კვალიფიკაციისას „მაკლარენ-მერსედესის" პილოტებს შორის მომხდარი გაუგებრობის გამო ვითარება არათუ ჩაწყნარდა, უფრო გამწვავდა.

შევახსენებთ — მესამე საპოულპოზიციო სესიის მიწურულს ბოქსებს საწვავ-საბურავებისთვის მიყოლებით მიაკითხეს ფერნანდო ალონსომ და ლუის ჰემილტონმა. მექანიკოსები ფერნანდოს ათიოდ წამში მოემსახურნენ და ბოლიდიც მზად იყო ტრასაზე დასაბრუნებლად, მაგრამ ესპანელი კიდევ თითქმის ნახევარი წუთი არ დაძრულა, თავისი პირადი ინჟინრის ნიშანს ელოდა, რათა ცარიელ ტრეკზე გაექროლა საუკეთესო დროის იმედით. შედეგად, მის უკან რიგში მომლოდინე ჰემი ისე შეყოვნდა, რომ ბოლოს ჩასათვლელ ცდაზე წასვლა ველარ მოასწრო.

საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციის სტიუარდებმა მომხდარი მეტოქისთვის განზრახ ხელის შეშლად შეაფასეს და ალონსო დასაჯეს — ხუთი სასტარტო პოზიციით ჩამოაქვეითეს. არადა, როგორც გაირკვა, სწორედ ჰემილტონს დაურღვევია წინასწარ შემუშავებული სტრატეგია, რადგან დასკვნითი ნაწილის დაწყებისას პირველად ნანდო უნდა გასულიყო ტრასაზე, მაგრამ წინ ჩაუდგა და ამით გუნდს გეგმა აურ-დაურია.

გუნდის გადაწყვეტილების დაუმორჩილებლობისთვის ლუისმა იმავე დღეს ბოდიში მოუხადა მთელ „მაკლარენს" და პირადად საჯინიბოს ბოს რონ დენისს, მაგრამ წამხდარ საქმეს ამით არ ეშველა. 22 წლის ახალბედას შეფთან ურთიერთობა დაეძაბა, ფერნანდოს კი შაბათიდან მოყოლებული აღარ ელაპარაკება. მათი უკვე კარგა ხნის უთანხმოება დენისსაც მობეზრდა და, როგორც ბრიტანული „ტაიმსი" კარგად ინფორმირებულ წყაროზე დაყრდნობით იტყობინება, რონი ორივეზე — ფერნანდოზეც და ლუისზეც ძალიანაა გაბრაზებული და ალონსოს აგრძნობინა, თუ წასვლა გინდა, ხელს არ შეგიშლითო.

ერთი სიტყვით, ალონსოს „მაკლარენთან" კონტრაქტი 2009 წლის ბოლომდე კი აქვს, მაგრამ შესაძლოა, უკვე წლევანდელი ჩემპიონატის ბოლოს წავიდეს გუნდიდან. ეს კი არა, ბოროტი ენები იმასაც ამბობენ, ნანდომ იქნებ მიმდინარე სეზონის დასრულებამდეც დატოვოს მაკების ბანაკიო.



ლუის ჰემილტონსა და ფერნანდო ალონსოს შორის შავმა კატამ გაირბინა

ბუნებრივია, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი უმუშევარი არ დარჩება და უკვე რამდენიმე ვარიანტზეა ლაპარაკი, რომელთაგან ყველაზე რეალური ალბათ ისევ „რენოში" დაბრუნებაა, რომლის სახელითაც ალონსომ ეს ორი გვირგვინი მოიპოვა.

არაა გამორიცხული, საგინესო წარმატებების შედეგად უზომოდ გაზრდილი ამბიციურობის გამო ჰემილტონმაც უგანოს თავის აღმომჩენ-აღმზრდელ დენისს და ჯიბეშესაფარი სხვაგან მოძებნოს. იმასაც ამბობენ, თვით „ფერარიმ" შავკანიან ინგლისელს უკვე შესთავაზა წლიური 35 მილიონდოლარიანი ჯამაგირიო.

**გია ახალაძე**

# გლოკის ლიდერობას წყალი შეუდგა

**„დიდი"** ფორმულისა არ იყოს, „მომავლის რბოლების" — GP2 სერიის პილოტებსაც უნგრეთში გაჯირითების შემდეგ სამკვირიანი შვებულება დაუდგათ.

„ჰუნგარორინგის" პოულ-პოზიციაზე ჩემპიონატის ლიდერი ტიმო გლოკი კი იდგა, მაგრამ მას დაძვრისთანავე გვერდი აუარა ლუკას დი გრასიმ, თუმც ბრაზილიელმა დიდხანს ვერ გაძლო 26-ბოლიდიანი ქარავანის თავში — მალე იტალიელმა ექსმეფორმულე ჯორჯო პანტანომ გაასწრო, მერე კი თავად ჯორჯოს „კამპოსის" პრობლემების შედეგად ლიდერობა „სამეფო" პილოტ ჯანკარლო ფიზიკელას გუნდის „FMS"-ის ჩრდილოირლანდიელმა მძღოლმა ადამ კეროლმა იგდო ხელთ და 180-კილომეტრიანი დისტანციის ბოლომდე აღარც დაუთმია.

გერმანელი გლოკი ტექნიკური პრობლემების გამო ფინიშზე მხოლოდ მეათე მივიდა და მეორე დღეს 123-კილომეტრიან „სპრინტერულ" რბოლაში ამ უხეირო პოზიციიდან; საერთოდ უქულოდ დარჩენის შემთხვევაში მის მთავარ კონკურენტ დი გრასის გენერალურ კლასიფიკაციაში წამოწევის საშუალება მიეცემოდა, რაც კინაღამ ასრულდა კიდეც.

გლოკი მეხუთე, ქულიან ადგილზე მიდიოდა, მაგრამ ხუთი წრელა რჩებოდა, როცა „აისპორტი" გაუფუჭდა და ფინიშამდე ვერ მიაღწია. თუმც „მტრის" გამოთიშვით ლუკასმაც ვერ იხეირა — ბრძოლა მეოთხე პოზიციაზე დაასრულა და ერთი ადგილი დააკლდა სერიაში თანალიდერობამდე.

მოკლედ, 25 წლის გლოკმა სატურნირო ცხრილში მეწინავეობა შეინარჩუნა — 55 ქულა აქვს და დი გრასის ქულით უსწრებს.

„სპრინტი" 19 წლის ესპანელმა ხავიერ ვილიამ მოიგო, თუმც ამ ექვსი ქულით მხოლოდ სამი საფეხურით გაიუმჯობესა გენერალურში ვითარება და მეხუთეა ლიდერთან ორმაგი ჩამორჩენით.

**გია ახალაძე**

# პატარა ბრილიანტები და ალმასი ბლანკა



ბლანკა ვლასიჩი

**მძლეოსნობაში** მსოფლიოს რეკორდები გაძვირდა, აღარ იშოვება. თუკი სადმე რამეში შეიძლებოდა რეკორდის მოხვეჭა, ყველას გამოუჩნდა პატრონი, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ სპორტის დედოფალს კრიტიკული პერიოდი აქვს. პირიქით, მძლეოსნობა თავს საკმაოდ კარგად გრძნობს და თუნდაც ასეთი ტურნირი, როგორიცაა სტოკჰოლმის სუპერ გრან პრი, სულ იოლად იკრებს ათიათასობით მაყურებელს.

წლეულს შვედეთის დედაქალაქში მძლეოსანთა მთელი თანავარსკვლავედი ჩავიდა და შედეგებიც გვარიანი დაფიქსირდა, მიუხედავად იმისა, რომ რეკორდი კვლავ არ ჩანდა. თუმც, როგორ არ ჩანს, ხორვატი სიმაღლეზე მხტომელი ქალი ბლანკა ვლასიჩი ისე დაფრინავს, რომ მის ხტომაში აშკარად იგრძნობა მსოფლიო რეკორდი და ამ ახალგაზრდა სპორტსმენის ნათელი მომავალი. ოღონდ ამ სიტყვებს კომუნისტური იდეოლოგიის ვერბალურ რახა-რუხად ნუ აღიქვამთ, ვლასიჩი მართლა წყვეტს ციდან ვარსკვლავებს და სახტომი თამასიდან გადასარევ შედეგს.




ჯერემი უორინერი

ვლასიჩმა სეზონი 2,03-მეტრიანი ნახტომით დაიწყო და მყისვე გაითავისა სეზონის საუკეთესო შედეგი. შემდეგ ის თითო სანტიმეტრობით მიიწევს წინ და სანამ სხვები ქვემოდან შესცქერიან, არ ავიდა 2,07-მეტრამდე?! ეს სიმაღლე უკვე ყველა მის კონკურენტს უქრობს ხორვატზე ირიბი საუბრების გამართვის სურვილს, ბლანკა საუკეთესოა და ვინ იცის, ყველა დროის საუკეთესოც, მსოფლიო რეკორდამდე ხომ სულ 2 სანტიმეტრიღა დარჩა და მისი შემყურე ალბათ ბულგარელი სტეფკა კოსტადინოვაც ვერ ისვენებს, რომელმაც ორი ათეული წლის წინ დაძლია 2,09 მეტრი და მას შემდეგ აგერ ვლასიჩის გამოჩენამდე დედოფალივით იჯდა სიმაღლეზე ხტომის ტახტზე.

კი, მაგრამ სად არიან ახლა შვედი ბერგკვისტი, რუსი ჩიჩეროვა, ბელგიელი ელებო და ბულგარელი ვენევა? პირველი ორი სტოკჰოლმში იყო და მათ 2,01 მეტრის აღება შეძლეს. ამ დროს ვლასიჩი ამ სიმაღლეზე ისე ავიდა, რომ ცდა არ გაუცუდებია. შემდეგ ბლანკამ 2,03 დაუკვეთა და მეორე ცდით აიღო, რითაც ტურნირზე გამარჯვება გაინაღდა. მერე კი უკვე 2,07 მეტრსაც კი შეუტია. პირველი გაუცუდდა. მეორე ცდაზე სულ ცოტა დააკლდა და მესამეზე რომ გადაევლო თამასას, იხუვლეს ტრიბუნებმა, მიუხედავად იმისა, რომ ვლასიჩი შვედთა ჯილა კაისა ბერგკვისტის კონკურენტი და მძლეველია. 2,07 მეტრზე მეტს მხოლოდ სტეფკა კოსტადინოვა გადავლებია ორჯერ, ვლასიჩის შედეგი კი მესამეა სიმაღლეზე ხტომის ისტორიაში.

დღესდღეობით სიმაღლეზე ხტომაში ვლასიჩი მელოდიასაც უკვეთავს და ფულსაც იღებს. ტურნირზე სახეობის მოგებისთვის დათქმულ თანხასთან ერთად მან სტადიონის რეკორდისთვის ორგანიზატორებისგან ერთკარატიანი ბრილიანტიც მიიღო.

ბრილიანტის ციცქნა კენჭი კიდევ არაერთ მძლეოსანს ერგო. ვინც ისე ირბინა ამ სტადიონზე, როგორც არასდროს არავის, ყველამ მიიღო პაწუა ელვარე ქვა. მაგალითად, 110 მეტრ თარჯრბენში არის მერიტმა 13,09-წამიანი შედეგი აჩვენა, სულ 0,01 წამით აჯობა რაიან უილსონს.

კენიისა ბეკელემ 3 კილომეტრზე ირბინა და ერთხელაც დაამტკიცა, რომ ტრავმა საბოლოოდ მოიშუშა და მშვენიერ ფორმაშია. ეგაა, „კურდღლები“ არ უვარგა, ყველა ძალიან მალე ილევა და დამხმარის გარეშე ნაადრევად ტოვებენ ბეკელეს. ახლაც ზუსტად ნახევარ დისტანციის შემდეგ შემოეძარცვნენ ჰაერმკვეთები და დარჩა მარტო ეთიოპი სუპერსტაიერი, მაგრამ ბეკელე რის ბეკელეა, სხვის გარეშე რომ ვერ ირბინოს. ირბინა და 3000 მეტრი 7 წუთსა და 25,79 წამში გაირბინა, რითაც სეზონის რეკორდი ხომ დაამყარა და ამ დისტანციაზე მეექვსე კაცი გახდა. თავისთავად ერგო სტადიონის რეკორდიც და ამის მომყოლი ბრილიანტიც.

თავისი წილი ბრილიანტი შეხვდა 400 მეტრის გაუსაჩივრებელ ლიდერ ჯერემი უორინერს, რომელმაც ფანტასტიკურად ირბინა და 44 წამს კარგა გვარიანად ჩასცდა — 43,50 შედეგით მან პირადი რეკორდი ხომ დაამყარა, ზედ სეზონის და სტადიონის რეკორდიც მიაყოლა და თანაც ამ დისტანციაზე მსოფლიოში ყველა დროის მესამე უსწრაფესი ადამიანი გახდა.

არადა, უორინერი 400 მეტრიდან 300-ის განმავლობაში აგებდა კერონ კლემენტთან და ბოლო 100 მეტრზეღა გაასწრო, თანაც 1 წამით, კლემენტმა 44,48 წამში დაამთავრა და ამხელა ჩამორჩენის მიუხედავად, პირადი რეკორდიც კი გააჩერხა. ახლა წარმოიდგინეთ, რამხელა უპირატესობა აქვს უორინერს დანარჩენებთან.

ბრილიანტზე უარს არ იტყოდა 100 მეტრის მეფე ასაფა პაუელიც, მიუხედავად იმისა, რომ მან შარშან 9,86 შედეგით უკვე დაამყარა სტოკჰოლმის ოლიმპიური სტადიონის რეკორდი და ერთი ბრილიანტიც აქვს, ამბობდა, მეორეც არ მაწყენდაო და საკუთარი 9,86-ის გაუმჯობესებას გეგმავდა, მაგრამ... მხოლოდ 10,04 და მეორეადგილოსან დერიკ ეტკინსთან 0,01 წამით მოგებული რბენა.

ქალთა ასი მეტრზე კი აბა, გამოიცანით, ვინ ირბინა. ვინ და სანია რიჩარდსმა. რომელიც 400 მეტრზე დედოფლობს, 200-ზეც არა უშავს და ახლა 100-იც აითვისა — 11,03 წამში გაირბინა და პირადი რეკორდი ერთბაშად 0,25 წამით გააუმჯობესა. ოღონდ მან სტოკჰოლმი ვერ დაიპყრო, მელისა ბარბერს 100 მეტრზე 0,01 წამით ჩამორჩა.

უბრილიანტებოდ დარჩნენ, მაგრამ რამდენიმე სახეობის მოგება მაინც შეძლეს შვედებმა. კაისა ბერგკვისტის ნაცვლად მოიგო კაცმა სიმაღლეზე მხტომელმა შტეფან ჰოლმმა (2,35 პირადი და სეზონის რეკორდი). 100 მეტრ ქალთა თარჯრბენში 12,66 შედეგით იპირველა სუზანა კალერმა, ხოლო ჰეპტატლონის (შვიდჭიდი) დამპყრობმა კაროლინა კლუფტმა სტოკჰოლმში 6,65-მეტრიანი ნახტომით სიგრძეზე ხტომაში შანსიც არ დაუტოვა კონკრეტულად ამ სახეობაში გაწაფულ კონკურენტებს.

**კოტე ყორშია**




ეროვნული ბიბლიოთეკა

# ძმა დისთვისაო...

**ევროპის** უძლიერესი მოცურავე ქალი ლორე მანადუ ნამდვილი ოქროს საბადოა და ამიტომ ექაჩება ყველა თავისკენ. ამას წინათ ის საფრანგეთიდან იტალიაში ნამდვილი სიყვარულის საძებნელად გაიქცა, თან ფრანგ მწვრთნელს ეჩხუბა და ისე ჩააკითხა იტალიელ მოცურავე ლუკა მარინის, რომლის გამოც — თავად თქვა ასე — ძილიც დაკარგა, მადაც და ყველაფრის ხალისიც, მაგრამ სულ ახლახან მანადუ იტალიელ მწვრთნელსაც ეჩხუბა და ტურინული კლუბიდანაც დაითხოვეს, აქაოდა, ყველას ძალიან აგდებულად ექცევიო.

ამ უქმეებზე პარიზში მიმდინარე ტურნირის მსვლელობისას მანადუ უგუნდოდ და უმწვრთნელოდ დარჩა და ფრანგებმა მისი ხელახლა აყვანის სურვილი გამოთქვეს.

ახლა ირკვევა, რომ მანადუს საკუთარი ძმა ავარჯიშებს. ფრანგული გაზეთი „ეკიპი“ ესაუბრა მამამის ჟან-ლუკს, რომელმაც თქვა: „მე ვურჩიე, მთელი სეზონი ნიკოლასთან ევარჯიშა, მან კი თქვა, „კარგი“.

**კოტე ყორშია**

# კიტაჯიმას ბექემი დაემართა




**დევიდ ბექემს** ალბათ ძალიან ბევრი ადამიანი ურეკავს, ყოველ შემთხვევაში, თუ ბექემს არა, მის მენეჯერს მაინც. ამ დღეებში შესაძლოა, დარეკოს ვინმე კოსუკე კიტაჯიმამ და იკითხოს, ამას წინათ ბექჰს რომ ფეხის ტრავმა ჰქონდა, ზუსტად ისეთ ტრავმას როგორ უნდა ვუმკურნალოო.

ბექემი ალბათ იკითხავს, ვინაა ეს კოსუკი კიტაჯიმა. თუ დაემთხვა და ისეთ კაცს დაუსვა ეს კითხვა, ვინც ტელევიზორს მხოლოდ ფეხბურთის სანახავად არ რთავს და სპორტის სხვა სახეობებსაც უმეთვალყურებს, მაშინ ბექემი გაიგებს, რომ იაპონელი კოსუკე კიტაჯიმა ორგზის ოლიმპიური და მრავალგზის მსოფლიოს ჩემპიონია და სულაც არაა „ვილაცა“.

2004 წლის ათენის ოლიმპიადის ორჯერ მოგები 100 და 200 მეტრ ბრასის სტილით ცურვაში ძალიან გალცდა, როცა აუზში ვარჯიშისას ფეხის ტრავმა მიიღო, თანაც ექიმმა უთხრა, ზუსტად ეგეთი ტრავმა აქვს „ლოს ანჯელეს გალაქსის“ ინგლისელ ფეხბურთელ დევიდ ბექემსო.

საზოგადოდ, ცურვაში ტრავმები იშვიათი ხილია. ეს ხომ კონტაქტური სპორტი არ გახლავთ. მოცურავეები არ ეჯახებიან ერთმანეთს, არც იდაყვებს უძესებ და საერთოდ, წყლის და ჰაერის გარდა თითქმის არაფერს არ ეხებიან და შესაბამისად, ტრავმებსაც ძალიან იშვიათად იღებენ. ჰა-ჰა, კუნთი გაიჭიმონ, გაწყვეტაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ეგაა, წყლის სტიქიასთან გამუდმებული ბრძოლა დიდძალ ენერგიას აცლის მოცურავეებს და ბევრი მათგანი 25 წლის მერე კარიერას ამთავრებს.

კიტაჯიმა ჯერ 24 წლისაა და მომავალ წელს პეკინის ოლიმპიადაზეც გეგმავდა ერთი-ორ მედალს. ის სამხრეთ კორეის ერთ-ერთ კუნძულზე წყნარ გარემოში ვარჯიშობდა, როცა ბარძაყში მწვავე ტკივილი იგრძნო. გაოცდა, ცხოვრებაში პირველად იტკინა რაღაც ცურვის დროს.

ახლა კიტაჯიმა რამდენიმე კვირას დაისვენებს. და როცა ელდამ გადაუარა, თითქოს გაუხარდა კიდეც, ეს რომ მომავალ წელს მომსვლოდა, რაღა უნდა მექნა, ოლიმპიადაზე როგორ წავიდოდიო. „იღბალი მქონია, წელს რომ მივიღე ეს ტრავმა და არა 2008-ში. ახლა საკმაო დრო მაქვს მის მოსაშუშებლად. მაგრამ ტრავმა მაიძულებს ვიფიქრო, რომ ჩემი ორგანიზმი უფრო მეტ წრთობას და მზადებას ითხოვს“.

**კოტე ყორშია**

# აგვისტოს პეკინი ორთქლის აბანოა

## ამერიკელები ოლიმპიადის ბოიკოტით იმუქრებიან




**ახლა**, როცა პეკინის ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე წელიწადიღა რჩება, ჩინეთის დედაქალაქის თავზე პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობითაც შავი ღრუბლები გროვდება და კაცმა არ იცის, რით დასრულდება ყოველივე.

ოლიმპიური ბატალიების დაწყებამდე ერთწლიანი ათვლის იუბილე პეკინში გუშინ მოეწყო, რისთვისაც იქაურები დიდის ამბით ემზადებოდნენ. როგორც ამბობენ, ამ დღემ ზეიმურად ჩაიარა. ნაირ-ნაირი ღონისძიებები შედგა როგორც პეკინში, ისე მის ახლომდებარე ქალაქებში, სადაც ასევე ოლიმპიური პაექრობები გაიმართა, მაგრამ ეს საზეიმო განწყობა ჩინელებს ამინდმა, უფრო სწორად, უამინდობამ ლამის ჩაუშალა, რასაც ოპოზიციის გააქტიურება და ამერიკიდან ოლიმპიური ბოიკოტის საფრთხეც დაემატა.

დავიწყოთ ეკოლოგიური პრობლემებით, რაც ჩინელებს ბოიკოტზე ნაკლებად არ აღელვებთ.

გუშინ პეკინელები ოლიმპიადის დაწყებამდე ერთწლიან თარიღს რომ აღნიშნავდნენ, ცამ პირი გახსნა და კოკისპირულად დასცხო, რამაც ჩინეთის დედაქალაქში მოძრაობის პარალიზება გამოიწვია. ამით გულდამძიმებული მომავალი ოლიმპიადის მასპინძლები გამწარებულები იგინებოდნენ — მათ ოლიმპიადის დაწყებამდე კიდევ ბევრი სამუშაო ელით, მაგრამ ისინი ყველაზე მწვავე პრობლემად სწორედ ეკოლოგიას და ტრანსპორტის მუშაობას მიიჩნევენ, აგრეთვე ჩინელთა ფურთხებისა და ბილწსიტყვაობისადმი მიდრეკილებას.

პეკინში მუდმივად მცხოვრები უცხოელების სუბიექტური შთაბეჭდილებების მიხედვით, ეკოლოგიური პრობლემა ერთ-ერთი უმთავრესია, რაც ოლიმპიადას დიდ საფრთხეს უქმნის. მათი დაკვირვებით, პეკინში აგვისტო ქუჩაში ფიზიკური აქტიურობის მხრივ საუკეთესო დრო სულაც არაა. თავად ჩინელებიც კი აგვისტოს ამინდს ორთქლის აბანოს ადარებენ. ამ დროს 30-გრადუსიანი სიცხის ფონზე ტემპერატურა ღამითაც კი არ კლებულობს და წარღვნასავით თქუში იცის, რაც ქუჩებში შეხუთულ ჰაერს განაპირობებს. უქარობის პირობებში ქალაქში გაურკვეველი წარმომავლობის ნისლი წარმოიქმნება, მხედველობა კი გზებზე ძალზე კლებულობს. ამის გამოცაა, რომ ჩინეთის საგზაო პოლიციელთა სიცოცხლის ხანგრძლივობა საშუალოდ, მხოლოდ 43 წელია.

ყოველივე ამის მიუხედავად, პეკინის ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტში იხტიბარს არ იტეხენ და მომავალს ოპტიმიზმით შეჰყურებენ. მისი ხელმძღვანელობა ირწმუნება, პეკინში ეკოლოგიური ვითარება მუდმივად იხვეწება და უმჯობესდებაო. ამასთან, პეკინის ოლიმპიადის დღეებში დროებით ზომებს განვახორციელებთ, რათა ჰაერის კარგი ხარისხი გარანტირებული იყოსო.

ბუნების შემოტევასთან ერთად პეკინის ოლიმპიური თამაშების ორგანიზატორებსა და ქალაქის მამებს ტიბეტის თავისუფლებისთვის მებრძოლთა იერიშების მოგერიებაც უხდებათ. გუშინ პეკინში, იმ თავსხმა წვიმაში ჩინელები რომ ზეიმობდნენ, ამ დროს დიდ ჩინურ კედელთან სწორედ ტიბეტის თავისუფლებისთვის მებრძოლი აქტივისტები გამოჩნდნენ, ბარად კი ქვეყანაში ადამიანთა უფლებების დამცველთა ხმა კიდევ ერთხელ მძლავრად გაისმა. ასეთ ნეგატიურ მოვლენებს კი, როგორც როიტერის წარმომადგენლები ბენ ბლანჩარდი და კრის ბაკლი იუწყებიან, ჩინეთის ხელისუფალნი არ ელოდნენ. ამ ყოველივეს ისიც დაერთო, რომ უხარისხო საკვები პროდუქტების გამო პეკინში დიდი სკანდალი აგორდა. ცეცხლზე ნავთი დაასხეს ჩინელმა დისიდენტებმაც და ქვეყნის მთავრობის თავმჯდომარე ხუ ცზინტაოს ღია წერილით მიმართეს, ოლიმპიური თამაშების სლოგანი ამგვარად შეცვალეო: „ერთი მსოფლიო, ერთი ოცნება და ადამიანთა ერთიანი უფლებები!"

ჩინეთის ხელისუფალთა ჭირად, ურწმუნო ჟურნალისტებს არც ხელისუფლების დაპირებისა სჯერათ, რომ მათ სიტყვის თავისუფლება სრულად გარანტირებული ექნებათ. ამ ეჭვს ისიც უძლიერებთ, რომ ორშაბათს პოლიციამ მიზეზების აუხსნელად დააპატიმრა რამდენიმე კორესპონდენტი, რომლებიც ორგანიზაცია „რეპორტიორები საზღვრის გარეშე"-ს წევრები იყვნენ. არადა, დაპატიმრებულნი მხოლოდ და მხოლოდ სწორედ თავიანთი უფლებების გაზრდას ითხოვდნენ. ამის გამო უფლებათა დამცველი ორგანიზაცია HUMAN RIGHTS WATCH აზიური განყოფილების დირექტორი ბრედ ადამსი ფიქრობს, რომ ჩინეთის ხელისუფლების დაპირება სიტყვის თავისუფლების თაობაზე სხვა არაფერია, თუ არა სატყუარა, რომლისაც ჟურნალისტებს არ სჯერათ.

ჟურნალისტთა უფლებების დამცავ ნიუიორკულ კომიტეტში ამბობენ, რომ ჩინეთში გისოსებს მიღმა სულ ცოტა, 29 რეპორტიორია, რომელთა „ბრალეულობა" მათსავე სამუშაოს უკავშირდება.

ყოველივე ამის ფონზე უფრო აღიმაღლა ხმა დინ ცილინმა, რომელიც 18 წლის წინათ დახვრეტილ დემოკრატთა დემონსტრაციის ერთ-ერთი მონაწილის მამა გახლავთ, ახლა კი იმ მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერია, რომელიც მაშინდელი ბოროტებისთვის ხელისუფლების პასუხისგებას მოითხოვს.

„გთხოვთ, ჩინეთის ის მოქალაქენი, რომლებიც აქედან პოლიტიკური და რელიგიური მოტივებით გაასახლეთ, სამშობლოში დააბრუნოთ, რათა ისინი ჩვენთან ერთად დატკბნენ ოლიმპიადით და არა დაუსწრებლად" — ნათქვამია იმ განცხადებაში, რომელსაც დინ ცილინიც ხელს აწერს.

ახლა ირკვევა, რომ ოლიმპიადით ტკბობა შესაძლოა ჩინეთიდან გაძევებულებს კი არა, თავად პეკინში მცხოვრებთაც არ ეღირსოთ. ყოველ შემთხვევაში, ორშაბათს ამერიკის კონგრესის წარმომადგენელთა პალატაში ერთდროულად შევიდა ორი რეზოლუცია ამერიკის მთავრობის მხრივ პეკინის ოლიმპიური თამაშების ოფიციალური ბოიკოტის თაობაზე. ამის მიზეზი კი ჩინეთში ადამიანის უფლებათა დარღვევა, აგრეთვე პეკინის მხრივ სუდანისა და ჩრდილოეთ კორეის რეჟიმებისადმი მხარდაჭერაა.

ერთ დოკუმენტზე ხელმომწერთა კონგრესმენს სათავეში უდგას რესპუბლიკელი დან როჰრაბაკერი, მეორეს კი — კონგრესის წარმომადგენელთა პალატის წევრი, დემოკრატი მაქსინ უოტერსი.

კანონპროექტში ნათქვამია, რომ ჩინეთში ოლიმპიადის ბოიკოტის იდეა შესაძლოა პრეზიდენტმა გააუქმოს, თუ „ჩინეთის ხელისუფლება სახალხოდ აღიარებს და დაგმობს იმ მხეცობას, რომელიც დარფურში მოხდა, შეწყვეტს სუდანისადმი ნებისმიერი შეიარაღების, ტყვიაწამლის და სამხედრო აღჭურვილობის მიწოდებას, აგრეთვე გადადგამს ნაბიჯებს სუდანის ხელისუფლებასთან ეკონომიკური თანამშრომლობისა და ინვესტიციების შეწყვეტის თაობაზე".

**ავთანდილ ბუზიაშვილი**








სტივ დევისი

# ადრიანი კიი

**უჩვეულოდ** ადრე, უკვე აგვისტოს პირველ რიცხვებში გახსნეს სნუკერის დიდოსტატებმა ახალი, 2007-08 წლების სეზონი.

ბილიარდის ყველაზე პოპულარული და ეშხიანი სახეობის საუკეთესო მიმდევრებმა თავი ჩინეთში მოიყარეს, სადაც „შანხაის მასტერსით" ახალი სეზონის ათვლა დაიწყო.

ჩინურ „საოსტატომდე" ორიოდე კვირით ადრე კი ინგლისში, კერძოდ ბირმინგემში, წინასასეზონო „სევენაის მეტალსი" ჩატარდა, რომელმაც საკმაოდ ძლიერ შემადგენლობას მოუყარა თავი მარკ სელბით, სტივ მაგუაერით, ბარი ჰოუკინსით, ჯეიმი კოუპით... წინასწარი ვარაუდებით, ბირმინგემში მსოფლიოს ჩემპიონ ჯონ ჰიგინსსაც უნდაეთამაშა, მაგრამ მან და კიდევ რამდენიმე ტოპ-სნუკერისტმა პირდაპირ შანხაიში წასვლა ამჯობინა.

ფინალში შედარების უცნობნი — მარკ კინგი და რიკი უოლდენი გავიდნენ. პირველი ორი ფრეიმი უოლდენმა აიღო, მესამეში კინგმა ასქულიანი სერია გამოაცხო, ჩამორჩენა შეამცირა და თითქოს, დაძაბული ბრძოლა უნდა გაჩაღებულიყო, მაგრამ უოლდენმა მეტოქეს შანსები ჩანასახშივე მოუსპო, მიყოლებით კიდევ სამი პარტია მოიგო და მატჩიც თავის სასარგებლოდ დაასრულა — 5:1.

თუმცა, ეს ყველაფერი, მაინც პრელუდია იყო შანხაის სარეიტინგო ტურნირის წინ. სამწუხაროდ, ჩინეთში თამაში ზურგის ტკივილების გამო ვერ შეძლო სნუკერის ინგლისელმა ჯადოქარმა, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა რონი ოსალივანმა, მაგრამ მის გარეშეც, შანხაიში ელიტარული მოთამაშეები არიან შეკრებილნი და სანახაობა გვარიანი უნდა გამოვიდეს.

პირველი დღის მატჩებიდან ყველაზე დაძაბული სტივენ ლისა და მარკო ფუს დაპირისპირება იყო. საქმე მე-9 ფრეიმამდე მივიდა და გადამწყვეტ მომენტში ლიმ იძალა — 5:4.

ადგილობრივთა ფავორიტმა დინ ჯუნხუმ 5:2 აჯობა მეორე ჩინელს ლელ იუის. სტივ მაგუაერმა 5:1 გაანადგურა კიდევ ერთი ჩინელი სიაო გოლდუნი, ხოლო ჯონ ჰიგინსმა აკადემიურ სტილში 5:2 დაჯაბნა ჯეიმი კოუპი და კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ღირსეული მსოფლიოს ჩემპიონია.

სნუკერის ვეტერანმა სტივ დევისმა, ვისაც 22 აგვისტოს 50 წელი უსრულდება, 2:4 ჩამორჩენიდან შემოუბრუნა თამაში ფერგელ ობრაიენს, ხოლო პირველი დღის კიდევ ორი შეხვედრა სენსაციური შედეგებით დასრულდა — დეივ ჰაროლდმა 5:3 მოუგო მსოფლიოს ექსჩემპიონ პიტერ ებდონს, ედრიან განელიმ კი 5:1 გაანადგურა ბოლო მსოფლიო პირველობის ერთ-ერთი გამორჩეული მოთამაშე ალისტერ კარტერი.



# კაცი შეიწირა

ფიგურულ სრიალში მსოფლიოს ჩემპიონმა ბულგარელმა მაქიმ სტავისკიმ ავტოავარია მოახდინა, რასაც ადამიანი ემსხვერპლა. ამბობენ, სტავისკი მთვრალი იყოო. მისმა მეწყვილემ ალბენა დენკოვამ განაცხადა, რომ ჩემპიონი წუხს და დაზარალებულთა ოჯახების დახმარება სწადია.



# სპორტული ქანდაკება

8 აგვისტოს პეკინში ოლიმპიადამდე დარჩენილი ერთი წლის ათვლა დაიწყო. ამიერიდან ყოველი დღე ოლიმპიური ამბებით იქნება გაჟღენთილი. სპორტული სკულპტურის გამოფენაც საოლიმპიადოა.



# რეკორდსმენი

ეროვნული ბიბლიოთეკა




სან ფრანცისკოელმა ბარი ბონდსმა, რომელიც 43 წლისაა და შვიდჯერ ყოფილა ბეისბოლის ეროვნული ლიგის საუკეთესო მოთამაშე, კარიერის 756-ე ჰოუმრანი მიითვალა და ლიგის რეკორდსმენი შეიქნა. აქამდე, რეკორდი ლამის 30 წელიწადს ეპყრა ჰენკ აარონს. სანფრანცისკოელმა ფანებმა ოვაცია მიაგებეს ახალ რეკორდსმენს, თუმც, ბონდის ყველა მიღწევას ჩრდილს დოპინგთან მისი მეგობრობა აყენებს.



# დაკითხვა

იტალიელ ველომრბოლს, კრისტიან მორენის თავისი ცოლის, კლაუდიასთვის ხელი ჩაუკიდია და იტალიის მთავარ დოპინგ-პროკურორთან მიდის დაკითხვაზე. ბოლო ტურ დე ფრანსის მე-11 ეტაპზე, მას, როგორც ბევრ სხვას, ტესტირებამ ტესტისტერონი აღმოუჩინა.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ ლოლუაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა ლოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი – 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge